ყოველდღიური გაზეთი
# ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge
ხუთშაბათი, 15 სექტემბერი, 2022
№182 (8960)
ფასი: 80 თეთრი



## თბილისში ჯიბის ქურდობა გახშირდა
გვ.5

## იანვარ-ივლისში საქართველოში გაუპატიურების 96 ფაქტი დაფიქსირდა



# „გოგაშვილის უკან სხვა დგას და სპექტაკლს ადგმევინებს“


გვ.2

ლელა ჯეჯელავა:
„რა დროს გოგაშვილია. ქვეყანას მართავს კაცი, რომელიც ეფ-ეს-ბე-ს აფინანსებდა“



„რამდენი ადამიანის ცხოვრება დაანგრია იოსებ გოგაშვილმა, ვინმე კითხულობს?! მიუხედავად ყველაფრისა, მართლა გულისრევას იწვევს მისი ოჯახის დამოკიდებულება, როდესაც ამბობენ, რომ ქონებას დაასაბუთებენ. რით უნდა დაასაბუთონ?! ან კიდევ, შეიძლება, ამ ყველაფრის შემდეგ მისმა ოჯახმა საზოგადოებას შეურაცხყოფა მიაყენოს?!“

## „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში საქართველო სტატუსს ვერ მიიღებს“

მურმან დუმბაძე:
„ქვეყანა ეკონომიკურ კოლაფსშია. რუსების მასობრივ შემოდინებას ტურისტებს ეძახიან და გვეუბნებიან, ფული შემოაქვთო“
გვ.3




გვ.4

„ერდოღანმა გაამასხარავა არა მარტო პუტინი და მისი გენერლები, არამედ, „ოდკბ“-ც“

## „ბაქოს შეთანხმება თავისი პირობებით უნდა“

## ყოფილი მოსამართლეები: „მურუსიძემ გულწრფელად მიპასუხა, რატომ გამიშვეს სასამართლოდან“

ყოფილი მოსამართლეები კლანს ემიგრაციიდან ამხელენ


გვ.5

## ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს შეხვდა


გვ.3





## ნეკა დოროყაშვილი: „ნიკოლოზი ფიზიკური ძალადობის შემდეგ ფსიქიკურ ძალადობაზეც გადადიოდა“



## რომის პაპი: „ღმერთი მშვიდობაა. ის ყოველთვის გვიხელმძღვანელებს მშვიდობის გზაზე და არასდროს — ომის გზაზე“
გვ.6

1993230720223

**5** საქართველოში, შესაძლოა, 2013 წლამდე გამოშვებული მანქანების შემოყვანა აიკრძალოს

**5** სოსო გოგაშვილის დაყადაღებული ქონება 15 მილიონ ლარს აღემატება

**4** ფასის განსხვავების მიუხედავად, ხარისხი ყველა ბენზინგასამართზე იგივეა

**6** ბუჩაში რუსების მიერ მოკლული მშვიდობიანი მოქალაქის 422 ცხედარი იპოვეს

# „გოგაშვილის უკან სხვა დგას და სპექტაკლს ადგმევინებს“

## ლელა ჯეჯელავა: „რა დროს გოგაშვილია. ქვეყანას მართავს კაცი, რომელიც ეფ-ეს-ბე-ს აფინანსებდა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.**

***– ქალბატონო ლელა, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის კონფლიქტი განახლდა. როგორია თქვენი შეფასებები იქ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, რამდენად სახიფათოა ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნისთვის?,***

– პირველ რიგში მინდა ვთქვა შემდეგი: ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, გარდამავალში, როდესაც ძველიდან გადავდივართ სრულიად ახალ პარადიგმაში, სადაც ძალიან რთულია პროგნოზების კეთება. ყველაზე უფრო გამოკვეთილი მახასიათებელი, რომელიც პოლიტიკურ პროცესებს ახლავს, არის არაადეკვატურობა და არაპროგნოზირებადობა. ამას ადასტურებს რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები და არა მარტო რუსეთის, არამედ ბევრი სხვა მოვლენაც, რომლებიც დღეს საერთაშორისო პოლიტიკაში ხდება. გარდა მაგისა, დარღვეულია ყველა ის დაწერილი თუ დაუწერელი შეთანხმება, რომლებითაც რეგულირდებოდა საერთაშორისო ურთიერთობები. ამიტომ ძალიან რთულია რამის პროგნოზირება. ეს ამჟამინდელი ესკალაცია სხვა კონფლიქტებისგან იმით განსხვავდება, რომ საომარი მოქმედებები გადმოტანილია სომხეთის ტერიტორიაზე.

***– მხარეები ერთმანეთს სდებენ ბრალად კონფლიქტის პროვოცირებას.***

– ამაში უცნაური არაფერი არ არის. მხარეები ყოველთვის ერთმანეთს აბრალებენ კონფლიქტის პროვოცირებას, მაგრამ მიზეზები, რომლებსაც ასახელებს ორივე მხარე, მაინცდამაინც დამაჯერებლად არ გამოიყურება. გაჩნდა ინფორმაცია, რომ ამ სამხედრო მოქმედებების განახლებამდე იმ ადგილებიდან რუსეთის სამშვიდობო ძალებმა უკანდახევა დაიწყეს და გაეცალნენ. ესეც დასაზუსტებელია. თუ ასეა, მაშინ ბევრი სხვა კითხვა ჩნდება.

***– რუსეთს რომ დღეს სომხეთისთვის არ სცხელა, ესეც ხომ ნათელია?***

– კი, ასეა. გუშინდელი საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაც, როდესაც კონფლიქტის მოგვარების დიპლომატიური გზისკენ მოუწოდა, უცნაური იყო. დიპლომატიური გზით სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტში 30 წელია, არაფერი გადაჭრილა. ახლა რამდენად წარმოსადგენია, რომ ეს მოხდება?! ფაქტია, რომ მოხდა ის, რის წარმოდგენაც ცოტა ხნის წინ გაგვიჭირდებოდა.

***– ანუ?***

– ის, რომ რუსეთმა უარი თქვა სტრატეგიული პარტნიორისთვის იმ დახმარებაზე, რომელსაც ავალდებულებს სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება. ასეთი რამ ადრე წარმოუდგენელი იქნებოდა. ან ვინ გაბედავდა იქ შეტევას, სადაც რუსული ბაზა დგას, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს მოხდა. მოხდა იმიტომ, რომ ჩვენ თვალწინ იცვლება მთელი რეგიონისა და, არა მარტო რეგიონის, არამედ გეოპოლიტიკა, მთელი ჩვენი დედამიწისა. რუსეთს ეს თავშეკავებული პოლიტიკა, რა თქმა უნდა, არ აქვს, თავისი კეთილშობილური მიზნების გამო, რომ ის წინააღმდეგია სამხედრო კონფლიქტის შენარჩუნებისა სამხრეთ კავკასიაში, მაგრამ რუსეთს არ აქვს შესაძლებლობები და იმის უნარი, რომ აჩვენოს, ის რეგიონში არის ბატონი! აი, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. მოკლედ, პარადოქსებით არის სავსე თანამედროვე პოლიტიკა. უნდა დაველოდოთ მოვლენებს.



**„რამდენი ადამიანის ცხოვრება დაანგრია იოსებ გოგაშვილმა, ვინმე კითხულობს?! მიუხედავად ყველაფრისა, მართლა გულისრევას იწვევს მისი ოჯახის დამოკიდებულება, როდესაც ამბობენ, რომ ქონებას დაასაბუთებენ. რით უნდა დაასაბუთონ?! ან კიდევ, შეიძლება, ამ ყველაფრის შემდეგ მისმა ოჯახმა საზოგადოებას შეურაცხყოფა მიაყენოს?!“**

***– რამდენად შეიძლება, ეს ყველაფერი ფართომასშტაბიან მოქმედებებში გადაიზარდოს?***

– მე მიმაჩნია, რომ ყველაფერი გაირკვევა ხვალ და ზეგ, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის შეხვედრისას, სადაც წარმოდგენილი იქნება ყველა ის გეოპოლიტიკური აქტორი, რომლებსაც სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავიანთი ინტერესები აქვთ. თურქეთი, ირანი, რუსეთი, ჩინეთი. აქვე იქნებიან სომხეთიც და აზერბაიჯანიც.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში ძალიან ბევრი გეოპოლიტიკური აქტორის ინტერესი იკვეთება. ეს აღარ არის მხოლოდ რუსული გავლენების სფერო. მოვლენების განვითარება არც მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რუსეთს რის უნარები აქვს და რის – არა. ძალიან მნიშვნელოვანია სხვა აქტორების პოზიციაც. შეუქცევადი პროცესები დაიწყო. თურქეთი რომ რეგიონში ხდება დომინანტი და თურქულ-აზერბაიჯანული ტანდემი ძლიერდება, ამის კონტურები კი არა, უკვე ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროექტი გვაქვს სახეზე. შესაბამისად, ამ რეალობასთან შეგუება და თანაცხოვრება სომხეთმა უნდა ისწავლოს.

***– ამ ფონზე როგორია ჩვენი ქვეყნის პოზიცია და როლი? როდესაც ასეა გაზრდილი რეგიონში საფრთხეები, ირგვლივ საომარი მოქმედებებია, რას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება? ან სად ვართ და რა გვინდა?***

– იმისთვის, რომ საკუთარ როლზე ვილაპარაკოთ, ჯერ ის უნდა ვიცოდეთ, ვინ ვართ ჩვენ. მე არ ვიცი, ჩვენ ვინ ვართ, რა ღირებულებათა სისტემით ცხოვრობს ერი, როგორც კოლექტიური ერთობა, სახელმწიფო, როგორც მოქალაქეთა ერთობა. რა საერთო ღირებულებებზე ვაფუძნებთ ჩვენს ურთიერთობებს, ვიცით? არ ვიცით. რა სახელი აქვს ჩვენს სახელმწიფოს, რა ტიპის სახელმწიფო ვართ? დემოკრატიული, ნახევრად დემოკრატიული? ტოტალიტარული? ვიცით, რად შევდექით? ჩვენი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში სად არის? ვიცით ეს ყველაფერი?! მე არ მაქვს ახლა ზუსტი პასუხი. ამაზე ზუსტი პასუხი არ აქვს იმ ხალხს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მართვა და ბედი ჩავაბარეთ.

***– რაც გაკეთდა და აშენდა, თუნდაც ეს ახალფეხადგმული სპეცსამსახურები, ამასაც სოსო გოგაშვილს ერთი ხელის მოსმით ანგრევინებენ. საერთოდ რა ხდება, ქალბატონო ლელა, იცის ვინმემ?***

– ის, რაც ახლა ხდება გოგაშვილთან დაკავშირებით, არის სირცხვილი! სახელმწიფოს სირცხვილი და თავის მოჭრა, მაგრამ გოგაშვილზე უკეთესი, ამიხსენით, რატომ არის რომელიმე მაღალჩინოსანი, რომელიც დღეს „ოცნებაშია“?! გოგაშვილი ხომ პროდუქტია.

***– ალბათ კრებსითი სახელია მათი.***

– დიახ, ყველანი არიან გოგაშვილები! მართლა ასეა. კრებსითი იოსები ჰქვია ამ ხელისუფლებას! გოგაშვილს რეკომენდატორი ხომ ჰყავდა, უფროსი ხომ ჰყავდა. გოგაშვილი ხომ ურთიერთობდა ხელისუფლების უმაღლეს პირებთან – პრემიერთან, პრეზიდენტთან და ასე შემდეგ. განა ძნელი დასანახი იყო, ვისთან ჰქონდათ საქმე?! გოგაშვილი არის სწორედ პროდუქტი ივანიშვილის მმართველობის სისტემისა. გოგაშვილი არ არის მიზეზი, რაც გვჭირს იმისა. გოგაშვილი იქცევა ისე, როგორც უნდა მოიქცეს გოგაშვილი. ვინ ელოდა და რატომ ელოდა სხვა რამეს მისგან?! პროფესიონალი იყო, შესაბამისი ცოდნა ჰქონდა მიღებული? მაღალი მორალური პრინციპებით გამოირჩეოდა, სადმე მანამდე თავი გამოიჩინა ამ ქვეყნისთვის, ან სადმე იომა ამ ქვეყნის დასაცავად? რით იყო გამორჩეული?! ასეთ ადამიანს აღაზევებ და აძლევ საშუალებას, ამ ქვეყნის ბედი გადაწყვიტოს. რამდენი ადამიანის ცხოვრება დაანგრია იოსებ გოგაშვილმა, ვინმე კითხულობს?! მიუხედავად ყველაფრისა, მართლა გულისრევას იწვევს მისი ოჯახის დამოკიდებულება, როდესაც ამბობენ, რომ ქონებას დაასაბუთებენ. რით უნდა დაასაბუთონ?! ან კიდევ, შეიძლება, ამ ყველაფრის შემდეგ მისმა ოჯახმა საზოგადოებას შეურაცხყოფა მიაყენოს?!

***– საკმაოდ ცუდი საყურებელია ეს ყველაფერი.***

– გოგაშვილი არის პროდუქტი და არა მიზეზი. ამიტომ მე გოგაშვილის თემა ნაკლებად მაინტერესებს. საერთოდ, ახლა ეს იწილობიწილო, რომ თურმე სადღაც ორი ელჩი გვყოლია აგენტურულ სიაში და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, ეს ვის აინტერესებს! ქვეყანას მართავს ადამიანი, რომელიც ოფიციალურად ხელფასს უხდიდა რუსეთის უსაფრთხოების სამსახურს, ეფ-ეს-ბე-ს. აფინანსებდა ეფ-ეს-ბე-ს. აი, ეს კაცი მართავს დღეს ქვეყანას და სადღაც ენჯეო აგენტურა და აგენტურულ სიაში მოხვედრილი ორი თუ სამი ელჩი ვის აინტერესებს. ან ამის გამჟღავნებას რა აზრი აქვს? საერთოდ, ვისთვის არის ეს სპექტაკლი? ვინ არის ამ სპექტაკლის რეჟისორი? ძალიან მაინტერესებს.

***– გოგაშვილი არ არის ის პიროვნება, რომ ეს ყველაფერი საკუთარ თავზე აიღოს და ამაზე ასე ღიად ისაუბროს, ანუ მის უკან დგას ვიღაც, ვისაც ეს აწყობს და ვინც ზურგს უმაგრებს.***

– რასაკვირველია, ასეა. მის ზურგს უკან ის დგას, ვინც ამ სპექტაკლს ადგმევინებს და გოგაშვილის დაუსაბუთებელი ქონება ვინ უნდა გამოიძიოს, ვახტანგ გომელაურმა, რომელსაც დასაბუთებული ქონება აქვს? თუ შოთაძეს აქვს დასაბუთებული ქონება? თუ პარლამენტში უნდა შეიქმნას საგამოძიებო კომისია იმ დეპუტატების მიერ, რომელთა სახლები, კაკლებში, ნუშის ბაღებში და, რა ვიცი, სად აღარ გინდა, შეპერაზადას სასახლეებს წააგავს. ამ ხალხმა უნდა გამოიძიოს?! საერთოდ, ეს სპექტაკლი ვის რაში სჭირდება, ძალიან მაინტერესებს!

## „ოცნებამ“ სამი კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატები დაასახელა



„ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში სამი კომიტეტის თავმჯდომარის ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატები წარადგინა. ამის შესახებ საგანგებო ბრიფინგზე მამუკა მდინარაძემ ისაუბრა. მათი ჩამონათვალი კი ასეთია:

– რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარედ კახი კახიშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ ირაკლი მეძმარიაშვილი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ ზაზა ლომინაძე. დარწმუნებული ვარ, საქართველოს პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას მათი არჩევის შესახებ. ეს არჩევა შემდეგ სას

## მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი 9 ნოემბრამდე გადაიდო

საქართველოს მესამე პრეზიდენტის სასამართლო პროცესი ისევ გადაიდო. მიხეილ სააკაშვილმა პროცესზე დასწრება გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერც გუშინ შეძლო.



ადვოკატებმა მოსამართლეებთან პენიტენციარული დაწესებულებისა და ასევე კლინიკა „ვივა მედის“ ოქმები წარადგინეს, სადაც წერია, რომ სააკაშვილს უჭირს გადაადგილება. შესაბამისად, მისთვის პროცესში მონაწილეობა რეკომენდებული არ არის.

რაც შეეხება საქმის სხვა ფიგურანტებს – სასამართლომ დავით კეზერაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის აღკვეთის ღონისძიებაზე იმსჯელა, თუმცა მათთვის მისჯილი წინასწარი პატიმრობა ძალაში დატოვა.

მორიგი სხდომა ე.წ. 7 ნოემბრის საქმეზე 9 ნოემბერს ჩაინიშნა.

## ირაკლი ღარიბაშვილი: „რუსეთი აგრძელებს ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას“

– რუსეთი აგრძელებს ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას. მას შემდეგ ჩვენ გვიწევს ძალიან ბევრი პროვოკაციის თავიდან აცილება და პროცესის მართვა, რომლებიც უკავშირდება ბორდერიზაციასა და სხვა ძალიან ბევრ პრობლემას.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ოლაფ შოლცთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

პრემიერმა ისაუბრა უკრაინის მიმართ საქართველოს მხარდაჭერაზე და აღნიშნა, რომ საქართველო ყველაფერს აკეთებს უკრაინის დასახმარებლად, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში.

– ჩვენ ვიმყოფებით ძალიან რთულ ვითარებაში, რთული დრო გვაქვს დღეს არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მთელ მსოფლიოში, ვინაიდან, რუსეთის გაუმართლებელი აგრესიისა და ფართომასშტაბიანი ომის შემდეგ უკრაინაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, მათ შორის ჩვენს რეგიონშიც, მაგრამ, როგორც თქვენ აღნიშნეთ, საქართველო იყო პირველი, რომელმაც გამოსცადა ასეთი ომი 2008 წელს და მას შემდეგ, მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი, ტერიტორიის 20% არის ოკუპირებული. რუსეთი აგრძელებს ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას, მას შემდეგ ჩვენ გვიწევს ძალიან ბევრი პროვოკაციის თავიდან აცილება და პროცესის მართვა, რომლებიც უკავშირდება ბორდერიზაციასა და სხვა ძალიან ბევრ პრობლემას.

მე ასევე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოვუჩინეთ უკრაინას. ჩვენ ვართ სოლიდარულები მათ მიმართ, გავაგზავნეთ 1000 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი, როგორც თქვენ აღნიშნეთ, მხარი დავუჭირეთ ძალიან ბევრ რეზოლუციას, მხარდამჭერ განცხადებას უკრაინის მიმართ და ვაკეთებთ მაქსიმუმს, რაც შეგვიძლია, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, – განაცხადა პრემიერმა.

– ევროპული პერსპექტივა და ევროპული გზა ჩვენი ხალხის არჩევანია. ეს არის გზა და პროცესი, რომელიც არის შეუქცევადი და რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მაქსიმალურად დააჩქარა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ოლაფ შოლცთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ხელისუფლება ამ საკითხთან მიმართებით არის თანმიმდევრული.

– მინდა, პირველ რიგში ვთქვა, რომ ჩვენი ხელისუფლება არის თანმიმდევრული იმ საკითხზე, რომელიც ეხება ჩვენი ქვეყნის გაწევრიანებას ევროკავშირში. ევროპული პერსპექტივა და ევროპული გზა ჩვენი ხალხის არჩევანია. ეს არის გზა და პროცესი, რომელიც არის შეუქცევადი და რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მაქსიმალურად დააჩქარა. სწორედ ჩვენი ხელისუფლების დროს მოვაწერეთ ხელი ასოცირების შეთანხმებას, თავისუფალ ვაჭრობას, მივიღეთ უვიზო რეჟიმი და ახლა უკვე ამ სიტუაციაში, ამ ისტორიულ დროს იქნა მიღწეული ისტორიული გადაწყვეტილება, რომელიც უკავშირდება ევროპული პერსპექტივის მონიჭებას.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, თუ რამდენ ხანში წარმოგვიდგენია გაწევრიანება, ეს არ არის, რა თქმა უნდა, მხოლოდ სურვილზე დამოკიდებული, ეს არის პროცესი, რომელსაც ჩვენ ყველანი მაქსიმალური პასუხისმგებლობით მიყვებით, გვესმის, რომ ამის დაჩქარება შეუძლებელია, არის გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც ჩვენ უნდა შევასრულოთ და ამას სჭირდება ქვეყნის მომზადება იმ დღისთვის, როცა ქვეყანა გახდება ევროკავშირის წევრი.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმა, თუ როგორ მოვახდინოთ ჩვენი ქვეყნის მოდერნიზაცია, გარდაქმნა, განვითარება, რეფორმების ჩატარება. სწორედ ამას უკავშირდება იმ 12 რეკომენდაციის შესრულება, რომელიც მოგვცემს საშუალებას, მივიღოთ კანდიდატის სტატუსი. ჩვენ, შესაბამისად, რა თქმა უნდა, გავაკეთებთ მაქსიმუმს იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე იქნეს ეს მიღწეული. ეს არის ჩვენი გეგმა, ჩვენი ხედვა, რომელიც ჩვენი ხალხის სურვილებსა და ნებას გამოხატავს, – აღნიშნა პრემიერმა.

– ჩვენ დიდი შეშფოთებით ვაკვირდებით მოვლენებს, რომლებიც ვითარდება ჩვენს სამეზობლოში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ოლაფ შოლცთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ მხარეები მალე დაუბრუნდებიან დიალოგის გზას.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში საქართველო სტატუსს ვერ მიიღებს“

## მურმან დუმბაძე: „ქვეყანა ეკონომიკურ კოლაფსშია. რუსების მასობრივ შემოდინებას ტურისტებს ეძახიან და გვეუბნებიან, ფული შემოაქვთო“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

*— ბატონო მურმან, „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ ევროკავშირის 12-პუნქტიან მოთხოვნასთან დაკავშირებით ისეთი გეგმა დაიდო, ვერავინ ვერაფერს ამბობს. ფიქრობთ, ხელისუფლება ასრულებს საშინაო დავალებას?*

— საერთოდ თავი უნდა დავანებოთ 12 პუნქტზე საუბარს. ეს ყველაფერი არის მხოლოდ ბლეფი და ფარსი. არაფრის შემსრულებლები ესენი არ არიან. რომელ 12 პუნქტის შესრულებასა და დადებულ გეგმაზეა საუბარი, მაშინ როდესაც მე-5 პუნქტზე თქვეს, რომ დეოლიგარქიზაცია ბიძინა ივანიშვილს თურმე საერთოდ არ ეხება. სასაცილოა ეს ყველაფერი, სატირალი რომ არ იყოს. ამიტომ არაფრის შემსრულებლები ესენი არ არიან. მოსმენების კანონის შემდეგ რაზეა საერთოდ საუბარი?!

სახალხო დამცველის ინსტიტუტის ბოლომდე ხელში ჩაგდება უნდათ. სურთ, თავიდან ბოლომდე გააკონტროლონ ომბუდსმენი. ევროკავშირის მოთხოვნა ეს კი არ არის, ჩართულობაა, კონსენსუსით უნდა მოხდეს ყველა საკვანძო საკითხზე შეთანხმება. ამიტომ, არ მესმის, რომელ შესრულებაზეა საუბარი.

*— თუ ევროკავშირი კანდიდატი ქვეყნის სტატუსზე უარს გვეტყვის, როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?*

— არაფერი, დარწმუნებული ვარ, ამ ხელისუფლების პირობებში საქართველო სტატუსს ვერ მიიღებს. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს არის რეალობა. მართალია, სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ეს უარი უკვე ნათქვამია. იმ დათქმულ პირობებს კი ხელისუფლება არ ასრულებს, შესაბამისად, მე არაფერს ველი. გამოსავალი მხოლოდ ხელისუფლების ცვლილებაშია.

*— როგორ?*

— ვადამდელი, რიგგარეშე არჩევნებით. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება არ შეეგუება იმ რეალობას, რომელიც ქვეყანაშია. მსოფლიო რეალობა იცვლება. უკრაინა ცვლის ამ რეალობას.

*— ფიქრობთ, უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ქართულ პოლიტიკაზე გავლენას იქონიებს?*

— შეუძლებელია, ასე რომ არ იყოს. რა თქმა უნდა, პირდაპირ მიბმული ვართ ამ პროცესთან. ცხადია, პოლიტიკურ პროცესს ვგულისხმობ. პუტინი მარცხდება. მთავრდება პუტინის ჰეგემონია. რუსეთიც ველარ იქნება ისეთი, როგორიც ადრე იყო. ერთი სიტყვით, პუტინის რუსეთი მთავრდება.

21-ე საუკუნეა. მსოფლიოში მიმდინარე ნებისმიერი პროცესი ერთმანეთზე ახდენს გავლენას. მთელი მსოფლიო დამოკიდებულია უკრაინის გამარჯვებაზე. საქართველოც ვერანაირად ვერ იქნება ამ პროცესების მიღმა. უკრაინაში უკვე ისმის გამარჯვების ყიჟინა. გათავისუფლებულ იზიუმში უკვე ჩავიდა პრეზიდენტი ზელენსკი.



უკრაინაში მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ, საქართველოშიც იცვლება განწყობები. ეს არ არის ცუდი, მაგრამ საწყენია, რომ ადამიანებმა, მით უფრო პოლიტიკოსებმა, ვერ ირწმუნეს თავისუფლების, იმის, თუ სად არის სიმართლე.

ჩვენ მოწმენი ვხდებით რუსეთის დაშლის. რუსეთის იმპერია დაიშლება და ეს პროცესი აუცილებლად დაიწყება უკრაინაში რუსეთის ჯარის დამარცხებით. ამ პროცესს ალტერნატივა არ აქვს. დიდი რღვევის პროცესი კრემლის კარზეც დაიწყება. პუტინს შიდა პოლიტიკური ელიტა აუმხედრდება და ის ვერ გაუძლებს ამას. ეს, რა თქმა უნდა, საქართველოზეც იქონიებს გავლენას. წაგებული რუსეთი, დასუსტებული პუტინი ასეთ გავლენას ველარ მოახდენს ჩვენზე.

*— რიგგარეშე არჩევნები ახსენეთ. რამდენად რეალურია, რომ ამას მიაღწიოს ოპოზიციამ?*

— თუ თანმიმდევრულები ვიქნებით ამ მოთხოვნაში, მივაღწევთ. მე მჯერა ხალხის, ამ საზოგადოების, რომელსაც არ უნდა იმ ქვეყანაში ცხოვრება, რომელსაც პოლიტპატიმრები ჰყავს, რომელსაც არცერთი რეალური პოლიტიკური რეფორმა არ გაუტარებია, ქვეყანა, რომლის ეკონომიკაც კოლაფსშია. რუსების მასობრივ შემოდინებას ტურისტებს ეძახიან და გვეუბნებიან, ფული შემოაქვთო, ქვეყანა, რომელმაც ყველა საერთაშორისო პარტნიორი დაკარგა, სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის ელჩს კი პირდაპირ ბრძოლა გამოუცხადა. მე მჯერა, რომ ამას არ შეეგუება ქართველი ხალხი. შეუძლებელია, ეს ყველაფერი ხალხმა ნორმად მიიღოს.

# ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს ბერლინში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შეხვდა.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა აღნიშნული ვიზიტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქვეყნებს შორის არსებული პარტნიორული კავშირების კიდევ უფრო განმტკიცებისთვის. პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებით აღნიშნა გერმანიისა და პირადად პრეზიდენტ შტაინმაიერის გამორჩეული პოლიტიკური მხარდაჭერა საქართველოსადმი.

აღინიშნა, რომ საქართველო და გერმანია საიმედო და ღირებული პარტნიორები არიან ერთმანეთისთვის, რაც მრავალწლიან კავშირებსა და საერთო ღირებულებებს ეფუძნება. განსაკუთრებით გაესვა ხაზი გერმანიის მნიშვნელოვან როლს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის წარმატებაში.

აღინიშნა გერმანიის პრაქტიკული მხარდაჭერა, რაც მრავალი წლის განმავლობაში ხორციელდება საქართველოში როგორც გერმანიის მთავრობის, ისე სხვადასხვა ინსტიტუტისა და კერძო სექტორის მხრიდან. მხარეები მიესალმნენ ქვეყნებს შორის წლების განმავლობაში არსებულ წარმატებულ სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორობას, რისი ნათელი დასტურიცაა გერმანული კომპანიების საქმიანობა საქართველოში.

მხარეებმა ისაუბრეს იმ ერთობლივ ნაბიჯებსა და გზებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს გერმანული ბიზნესის მეტად დაინტერესებას საქართველოს ეკონომიკური და საინვესტიციო პოტენციალით. პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა ქვეყნის განვითარების კუთხით საერთაშორისო განვითარების ბანკის (KfW), საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციისა (GIZ) და სხვა გერმანული უწყებების მიერ გაწეული დახმარების მნიშვნელობას.

მხარეებმა ასევე განიხილეს უსაფრთხოების კუთხით რეგიონში არსებული მდგომარეობა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება.

ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა გერმანიას საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების უზრუნველსაყოფად გერმანიის მთავრობის ძალისხმევისთვის. საუბარი შეეხო საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკასა და ამ კუთხით საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მნიშვნელობას.

მხარეები მიესალმნენ ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის მინიჭების ისტორიულ გადაწყვეტილებას. საუბარი ასევე შეეხო რეკომენდაციების შესრულების მიზნით საქართველოს მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმასა და გადადგმულ ნაბიჯებს.

შეხვედრაზე დაისახა გეგმები ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის უფრო მაღალ დონეზე ასაყვანად და სხვადასხვა მიმართულებით მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების სრული მზადყოფნა გამოითქვა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საპატიო სტუმრების წიგნში ჩანაწერი დატოვა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველო დაინტერესებულია, კიდევ უფრო გააძლიეროს გერმანიასთან ორმხრივი ურთიერთობები.

— დიდი მადლობა, ბატონო კანცლერო! დიდი პატივია ჩემთვის და მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები ბერლინში. პირველ რიგში, მინდა მადლობა მოგახსენოთ მოწვევისა და გულითადი მასპინძლობისთვის. გერმანია ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი



ქვეყანაა, ქვეყანა, რომელმაც ბოლო 30 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი დახმარება აღმოუჩინა საქართველოს, ჩვენს ქვეყანას. გერმანია მხარს უჭერს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს, აძლიერებს ქართულ დემოკრატიას და მილიარდ 300 მილიონ ევროზე მეტი აქვს ბოლო წლების განმავლობაში დახმარების სახით გაწეული საქართველოსთვის. ამას ჩვენ ძალიან ვაფასებთ, ქართველი ხალხი არის მადლიერი და ჩვენ ვართ დაინტერესებული, კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი ორმხრივი ურთიერთობები, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# კრემლი იმუქრება

— მოსკოვმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ორკვირიანი მრავალეროვნული მანევრების Noble Partner 2022 ფარგლებში, ბლოკის მძიმე სამხედრო ტექნიკის გადატანა ევროპიდან საქართველოში, ამჯერად სახმელეთო გზით, თურქეთის გავლით მოხდა, — ამის შესახებ „რია ნოვოსტის“ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დსთ-ის ქვეყნების მეოთხე დეპარტამენტის დირექტორმა დენის გონჩარმა განუცხადა.



მისი თქმით, მოსკოვი ხედავს საქართველოს ნატოში გაწევრიანების მიმდინარე კურსსა და აქტივობას:

— მათ შორის, ქვეყნის თანამედროვე ტიპის იარაღით შევსებასა და აშშ-ისა და ალიანსის ქვეყნების მონაწილეობით, მის ტერიტორიაზე რეგულარული სამხედრო სწავლებების ჩატარებით.

მისი თქმით, ეს არის გამოწვევა არა მხოლოდ რუსეთის ინტერესებისა და მისი მოკავშირეებისთვის რეგიონში, არამედ „სერიოზული საფრთხეა სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის მთლიანად სამხრეთ კავკასიაში“.

— საქართველოს „არსებითი დახმარების“ მხარდამჭერებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ჩვენ გავითვალისწინებთ თბილისისა და ნატოს შორის თანამშრომლობის განვითარების ფუნდამენტურ მომენტებს ყველაზე სერიოზულად, — დასძინა მან. მრავალეროვნული სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2022“ 9 სექტემბერს დასრულდა.

# მამუკა მდინარაძე: „რეიტინგი გვემატება“

— ქვეყნის შიგნით ოპოზიცია და ოპოზიციური მედია ცდილობს „ქართული ოცნების“ დაზიანებას. ვერ გვაზიანებს, პირიქით, რეიტინგი გვემატება. ამ დროს ქვეყნის გარეთ ზიანდება არა „ქართული ოცნება“, არამედ საქართველოსა და ქართველების იმიჯი იმით, რომ ჰკადრებენ საქართველოს მოსახლეობას, თქვენ თურმე არჩეული გყავთ ისეთი ხელისუფლება, რომელიც რუსეთის საქმეს აკეთებსო. ამას აკეთებენ მართლა რუსული საქმის მკეთებლები, ადამიანები, რომლებმაც ხელი მოუწერეს რუსეთს, რომ სამხედრო მოქმედებები ჩვენმა სამხედროებმა დაიწყეს 2008-ში, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, უსაფუძვლო და ფეიკგანგაშები მხოლოდ და მხოლოდ აზიანებს ქვეყანას, ასევე აზიანებს საერთაშორისო მედიებში დაწერილი სპეკულაციური და ფეიკსტატიები იმის შესახებ, რომ საქართველოში არის პრორუსული ხელისუფლება.

— ის, რომ მოლდოვასა და უკრაინას მიენიჭათ სტატუსი და საქართველოს ამ ეტაპზე არა და მხოლოდ პერ-



სპექტივა მიიღო, ის, რომ საერთაშორისო მედიებში, ისეთ გამოცემებში, რამდენიმემილიონიანი აუდიტორია რომ ჰყავს, იწერება სპეკულაციური და ფეიკსტატიები იმის შესახებ, რომ საქართველოში არის პრორუსული ხელისუფლება და ასეთი ფეიკები იდგმება, ეს ნამდვილად აზიანებს.

ქვეყნის შიგნით ვერაფერს გვიშვრებიან, პირიქით, რეიტინგი გვეზრდება და ქვეყნის ფარგლებს გარეთ აზიანებენ საქართველოს. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც არ ჩერდებიან. რეალობა რომ იყოს, ამ შემთხვევაში, თავი უნდა შეიკავო ადამიანმა და ოპოზიციონერმა, მაგრამ, როდესაც ფეიკს აბრალებ და თან შენი ქვეყნის საზიანოდ, ცოტა უნდა დაფიქრდე მეტად, ხომ არ აზიანებ ქვეყანას და არა იმ კონკრეტულ სუბიექტს, რომელსაც ებრძვი.

ჩვენ ვისთანაც უნდა გვქონდეს პრეტენზია ოკუპაციასთან დაკავშირებით, იმ ქვეყნის ხელისუფლებასთან დაკავშირებით და რასაც უნდა ვაკეთებდეთ, მაგალითად, უკრაინის მხარდასაჭერად ნებისმიერ საერთაშორისო პლატფორმაზე, მათ შორის ჰააგაში სისხლის სამართლის წესით უკრაინის საჩივარს რომ ვუერთდებით და ბევრი ქვეყანა ვერ აკეთებს ამას და საქართველო აკეთებს, ამას უნდა აღვნიშნავდეთ და არა მოგონილ პანიკებს ვთესავდეთ საზოგადოებაში უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც რეალურად საფუძველი არ გააჩნია. ტურისტებზე ხომ ერთი ამბავი იყო, აღმოჩნდა, რომ თურმე გაცილებით ნაკლები ტურისტია რუსეთის მოქალაქე საქართველოში შემოსული, ვიდრე 2019 წელს, თურმე მოგონილი იყო ამბავი. მგონია, რომ უსაფუძვლო და ფეიკგანგაშები მხოლოდ და მხოლოდ აზიანებს ქვეყანას, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

# „ბაქოს შეთანხმება თავისი პირობებით უნდა“

## „ერდოღანმა გაამასხარავა არა მარტო პუტინი და მისი გენერლები, არამედ, „ოდკბ“-ც“




მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს მეზობლად, აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე, ესკალაცია ამ ეტაპზე მეტ-ნაკლებად მინელებულია. სიტუაცია ორ ქვეყანას შორის აგვისტოშიც დაიძაბა. მაშინ ცხელი წერტილი ყარაბაღი იყო.

ამჯერადაც ცეცხლის შეწყვეტის მოწოდებით უამრავი სახელმწიფო გამოვიდა. შუამავლობა მეზობლებს საქართველომაც შესთავაზა. საბოლოოდ, დროებითი ზავი აგრესორი რუსეთის ჩარევით დაიდო. თავისი მექანიზმების ამოქმედების შესახებ განაცხადა კოლექტიური უშიშროების ორგანიზაცია „ოდკბ“-მ, რომელსაც დასახმარებლად სომხეთმა მიმართა.

იურისტების განმარტებით, ამ შემთხვევაში „ოდკბ“-ს ჩარევა იურიდიულად გაუმართლებელია, ვინაიდან საქმე ეხება „ლოკალურ სასაზღვრო ინციდენტს“.

ახლაც, ესკალაციის თაობაზე გავრცელებული ინფორმაცია, ასევე შეფასებები მრავალფეროვანი და წინააღმდეგობრივია. მხარეები ვითარების გართულებას ერთმანეთს აბრალებენ.



**სომეხი ექსპერტი ტატევიკ აირაპეტიანი:**

— აზერბაიჯანის ახლანდელი მოქმედებები დაგეგმილი იყო. ამ მოქმედებებს შეუძლებელია ვუწოდოთ „გამწვავება საზღვარზე“. ბაქო ცდილობს, ძალით აიღოს „დერეფანი“ მეღრის გავლით. აზერბაიჯანს უნდა, მიაღწიოს შეთანხმებას ბაქოს პირობებით.

**აზერბაიჯანელი ექსპერტი ნატიკ ჯაფარლი:**



— ესკალაციის მიზეზი გახდა პროვოკაციები სომხეთის მხრიდან. სომხეთში არ არსებობს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ერთიანი ცენტრი. პოლიტიკური ძალაუფლება ფაშინიანს აქვს, თუმცა არმია მხოლოდ ნომინალურად აღიარებს მის ლეგიტიმაციას. ბევრი გენერალი დაკავშირებულია ყარაბაღის კლანთან. ზოგიერთი მათგანი რუსეთის კონტროლს ექვემდებარება. ქვეყანაში ძლიერია რევანშისტული განწყობები. ოფიციალური ერევანი სრულად ვერ ასრულებს შეთანხმების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს.

უკრაინელ პუბლიცისტ სერგეი ფურსას აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე ესკალაციის თაობაზე თავისი პოზიცია აქვს. ის მომხდარში თურქეთის ხელს ხედავს და სამხრეთ კავკასიის მოვლენებს უკრაინის ომს უკავშირებს.

**უკრაინელი პუბლიცისტი სერგეი ფურსა:**

— ერდოღანი სუპერპროფესიონალია ზურგში დანის ჩარტყმაში. ამასთან, მას შეუძლია, ერთდროულად სხვადასხვა ადამიანს ჩასცეს დანა ზურგში. არ გასულა ერთი კვირა მას შემდეგ, რაც ერდოღანმა მხარი დაუჭირა პუტინს მარცვლეულის შანტაჟში. ერდოღანისთვის უმნიშვნელოა, რომ მარცვლეულის საკითხზე შეთანხმებები მნიშვნელოვანია უკრაინისათვის. შემდეგ ხარკოვის ოლქში მოხდა უკრაინის შეიარაღებული ძალების ელვისებური ოპერაცია და რუსეთის არმია ჩამოიშალა. ეს დაინახა ერდოღანმა. მან იფიქრა, რომ ეს საუკეთესო დროა დარტყმისათვის. ამის შედეგად, აზერბაიჯანმა დაიწყო შეტევა სომხეთზე. რუსეთს ამ დროს ამისათვის არ ეცალა. რუსეთს არ შეუძლია დაუშვას კიდევ ერთი სამხედრო სირცხვილი. რუსეთის არმიის სიძლიერე ხერსონიდანაც ჩანს, ანკარიდანაც, ასევე ბაქოდან და ერევნიდან. ერდოღანმა ერთი დარტყმით გაამასხარავა არა მარტო პუტინი და მისი გენერლები, არამედ, „ოდკბ“-ც, რომელიც ნატოს ანალოგი ნამდვილად არ აღმოჩნდა. ამ სიტუაციაში, რასაკვირველია, ფაშინიანის მდგომარეობას ვერ ინატრებ. სომხეთის არმია აზერბაიჯანისას ვერ უტოლდება. სომხები კრიტიკულად არიან დამოკიდებული რუსეთზე.



საზღვარზე ესკალაციის თემის შეფასებისას რუსეთის მარცხს ეხება და მას აღიარებს კრემლის მომხრე პოლიტოლოგი სერგეი მარკედონოვიც კი.



**რუსი პოლიტოლოგი სერგეი მარკედონოვი:**

— ბაქოს სურს მშვიდობა სწრაფად, აქ და ახლა, თავისი პირობებით. რაც უფრო უარესი იქნება ჩვენთვის მდგომარეობა ხერსონთან, დონეცკთან, ლუგანსკთან, მით მეტი იქნება სხვადასხვა აფეთქება ევრაზიის სივრცეში.

ეკონომიკა

# რუსულ ხორბალზე საექსპორტო გადასახადი 12%-ით შემცირდა



20 სექტემბრის ჩათვლით, რუსული ხორბლის საექსპორტო გადასახადი 12%-ით მცირდება. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი, რასაც სააგენტო „ფინმარკეტი“ ავრცელებს.

თუ ერთი კვირის წინ საექსპორტო გადასახადი ტონა ხორბალზე 3368,9 რუბლს (56 დოლარს) შეადგენდა, დღეიდან ის 2962,9 რუბლამდე (49 დოლარამდე) მცირდება.

ამასთან, ტონა ქერზე გადასახადი ერთი კვირის წინანდელი 2,699,2-დან 2,717,7 რუბლამდე (45-დან 45,50 დოლარამდე), სიმინდზე კი 3,663,7-დან 3,784,4 რუბლამდე (61-დან 63 დოლარამდე) იზრდება.

გადასახადები საორიენტაციო ფასების მიხედვით გამოითვალა, რაც ტონა ხორბალზე ერთ კვირაში 329,3-დან 316,8 დოლარამდე შემცირდა, ქერზე უმნიშვნელოდ, 294,7-დან 292,5 დოლარამდე მოიკლო, ხოლო სიმინდზე ფასი იგივე დარჩა და კვლავ 317,6 დოლარი შეადგინა.

6 ივლისიდან რუსეთში მარცვლეულის გადასახადი დოლარის ნაცვლად, რუბლებში გამოითვლება. 30 ივნისს მთავრობამ მიიღო დადგენილება გადასახადების რუბლებში გამოთვლის შესახებ. ხორბლის საექსპორტო გადასახადის გამოსათვლელად საბაზისო ფასი ტონაზე 15 ათასი რუბლით (250 დოლარით), ქერსა და სიმინდზე კი 13,875 ათასი რუბლით (230 დოლარით) განისაზღვრა. საექსპორტო გადასახადი საბაზისო და საორიენტაციო ფასებს შორის სხვაობის 70%-ს წარმოადგენს.

2 ივნისიდან რუსეთის ფედერაციამ მარცვლეულის დემპფერის მექანიზმი შემოიღო, რომელიც ხორბლის, სიმინდისა და ქერის ექსპორტზე მცურავ გადასახადებს, ხოლო მათგან მიღებული სახსრების სოფლის მეურნეობის მწარმოებლების სუბსიდირებისთვის ჩაბრუნებას ითვალისწინებს. გადასახადების ოდენობა ყოველკვირეულად ფასების ინდიკატორებით გამოითვლება, რაც მოსკოვის ბირჟაზე რეგისტრირებულ საექსპორტო კონტრაქტების ფასებს ეფუძნება.

# რატომ გაიზარდა ელექტროენერგიის ექსპორტი რეკორდულად

ოფიციალური მონაცემებით, ელექტროენერგიის ექსპორტით საქართველოს შემოსავალი 337%-ით გაიზარდა. უფრო კონკრეტულად, იანვარ-ივლისის მონაცემებით, საექსპორტო ბაზრებზე ელექტროენერგიის რეალიზაციიდან ქვეყანამ 64.78 მლნ დოლარის შემოსავალი მიიღო, 2021 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 14.8 მილიონი იყო.

სემეკის თავმჯდომარე დავით ნარმანიამ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „ბიზნეს პალიტრა“ ის ფაქტორები დაასახელა, რომლებმაც ექსპორტის რეკორდულ ზრდას ხელი შეუწყო. მათ შორისაა, ენგურჰესის ამოქმედება.

— პირველი მიზეზი ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდის არის ენგურჰესის ამუშავება. თქვენ მოგეხსენებათ, რომ მოხდა ენგურჰესის რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც გვირაბში არსებული დანაკარგები მინიმუმამდე იქნა შემცირებული და თითქმის, 30%-ით გაიზარდა მისი გამომუშავების დონე.



რაც შეეხება მეორე ფაქტორს, ეს არის უხვი ნალექი, როგორც თოვლის, ისე წვიმის სახით, რომელმაც უფრო მეტი წყლის რესურსი მოაგროვა შესაბამის სადგურებში. აქედან გამომდინარე, ენგურჰესმა, იგივე, ვთქვათ, ვაჟამურ ჰესმა და სხვა ჰესებმა უფრო მეტი ენერგიის გამომუშავება შეძლეს. შესაბამისად, როცა უკვე სიჭარბე შეიქმნა ელექტროენერგიის, შემდგომში ჩატარდა აუქციონები და ეს ენერგია გავიტანეთ თურქეთსა და სომხეთში, — აცხადებს დავით ნარმანია.

# ფასის განსხვავების მიუხედავად, ხარისხი ყველა ბენზინგასამართზე იგივეა

ქვეყანაში დიდ და პატარა ბენზინგასამართ სადგურებზე განსხვავებული ფასების მიუხედავად, საწვავის ხარისხი იდენტურია. ამის შესახებ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელმა ირაკლი ლექვინაძემ „მედიაცენტრ მთავარში“ განაცხადა.

მისი თქმით, განსხვავება ზოგ შემთხვევაში 70 თეთრიც კი არის ხოლმე.

— აქ საინტერესო ის არის, რომ ერთსა და იმავე ტიპის საწვავზე, მაგალითად, რეგულარი რომ ავიღოთ, დაახლოებით 30-დან 70 თეთრამდე იაფია საწვავი მცირე ქსელებზე. ეს გამოწვეულია ამ მცირე კომპანიების უფრო მეტი მოქნილობით. საოპერაციო ხარჯები, ცხადია განსხვავება მცირე და დიდ კომპანიებს შორის, თუმცა ამხელა სხვაობა, როცა ერთისა და იმავე ტიპის, ერთი და იგივე ქვეყნიდან იმპორტირებული საწვავია, შეიძლება მომხმარებლის გაკვირვებას იწვევდეს. მომხმარებელს შეუძლია მცირე ქსელებში ჩაასხას და პრაქტიკულად იმავე ხარისხის საწვავს მიიღებს.

მცირე ქსელებს მოვუწოდებთ გაზარდონ მომხმარებელში ნდობა, რადგან არის აღქმა, რომ რადგან იაფია საწვავი პრობლემაა ჩასხმის სიზუსტესთან და ხარისხთან დაკავშირებით. შეიძლება სადღაც ეგ პრობლემა არის, მაგრამ ბევრ კომპანიაში ნამდვილად არა, — თქვა მან.

მისივე თქმით, კომპანიებს, რომლებშიც „რომპეტროლი“, „ვისოლი“, „გალფი“, „ლუკოილი“ იგულისხმება, ბაზრის 60 პროცენტი უკავიათ, მცირე მოთამაშეებს კი — დარჩენილი 40 პროცენტი.

# აგვისტოს ბოლო 2 კვირაში სამომხმარებლო სესხების გაცემა ორჯერ შემცირდა

აგვისტოს ბოლო 2 კვირაში სამომხმარებლო სესხების გაცემა ორჯერ შემცირდა, — ამის შესახებ საბანკო ასოციაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ძნელაძემ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა.

— სამომხმარებლო სესხებზე საკმაოდ მკაცრი გადაწყვეტილება იყო, რაც შეეხო ძალიან ბევრ, როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალ მსესხებლებსაც. 15 აგვისტომდე საკმაოდ მაღალი იყო მოთხოვნა აღნიშნულ სესხებზე, მაგრამ საკმაოდ მოკლე ვადა იყო დარჩენილი. გადაწყვეტილება 16 აგვისტოს რომ შევიდა ძალაში, ძველი გადაწყვეტილებების აღსრულებაც გრძელვადიანობაზე არ შეიძლებოდა და არსებული სესხებიც რეფინანსირებაც 3 წელზე გადაიანგარიშება უკვე. აქედან გამომდინარე საკმაოდ მტკივნეული იყო აღნიშნული გადაწყვეტილება სამომხმარებლო სესხების მომხმარებლებისთვის.




სესხების გაცემის კუთხით, რეალურად რომ გითხრათ, აგვისტოში მნიშვნელოვან ცვლილებას ვერ ვიხილავთ, რადგან ნახევარი თვე ჩვეულებრივი რეჟიმი მუშაობდა. ასევე ბოლო 5 დღის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა აქტივობა, რადგან მოლოდინი იყო, რომ შემდგომში შეიძლება ვეღარ აეღოთ კრედიტი 4 წლის ვადით. ამიტომ აქ უფრო მნიშვნელოვანია ვისაუბროთ აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში უარების რაოდენობაზე.

შემიძლია ვთქვა, რომ დამტკიცებული სესხების რაოდენობა აგვისტოს ბოლო 2 კვირაში ორჯერ უფრო ნაკლები იყო სამომხმარებლო სესხებსა და განვადებებზე, ვიდრე წინა პერიოდში. მაგრამ ეს არ არის საერთო მაჩვენებელი. წლის ბოლომდე ეს ამ მდგომარეობით არ გაგრძელდება. მომხმარებელი შეიძენს ჩვევას, რომ თვითონ გადაითვალოს 3 წელზე, ეკუთვნის თუ არა რაღაც კონკრეტული თანხა, თვითონვე დააკორექტირებენ ამ თანხას და ასე მოითხოვენ, — აღნიშნა ძნელაძემ.

ცნობისთვის, 16 აგვისტოდან არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ვადიანობა, რაც აქამდე 4 წლით იყო განსაზღვრული, 3 წლამდე შემცირდა. აღნიშნული შეზღუდვა ერთი წლის განმავლობაში იქნება ძალაში.

# უკრაინის პორტები მარცვლეულით დატვირთულმა კიდევ ხუთმა გემმა დატოვა



უკრაინის პორტები მარცვლეულით დატვირთულმა კიდევ ხუთმა გემმა დატოვა. ინფორმაციას თურქეთის თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

— მარცვლეულის მიმდინარე გადაზიდვის ფარგლებში, დღევანდელი დილის მდგომარეობით, უკრაინის პორტები კიდევ ხუთმა გემმა დატოვა, — წერს თურქეთის თავდაცვის უწყება.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, უკრაინას, თურქეთს, რუსეთსა და გაეროს შორის მარცვლეულის ტრანსპორტირების შესახებ შეთანხმების ამოქმედებიდან დღემდე უკრაინიდან ჯამში 3.1 მილიონი ტონა მარცვლეულით დატვირთული 134 რეისი განხორციელდა.

# 4 ქვეყანა, საიდანაც ყველაზე მეტმა მოქალაქემ ითხოვა თავშესაფარი საქართველოში

შს მინისტრის მოადგილის განცხადებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში თავშესაფრის მიღების მოთხოვნაზე მიმართვა გაიზარდა. აღნიშნული განცხადება ალექსანდრე დარახველიძემ ორიოდე დღის წინ გააკეთა.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, თუ როგორია საქართველოში თავშესაფრის მაჩვენებელთა სტატისტიკა და რომელი ქვეყნიდან არის მოთხოვნა მაღალი.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებიდან ირკვევა, მიმდინარე წლის 1-ელ ნახევარში საქართველოში თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრირებულ მოქალაქეთა რაოდენობა 804 იყო. ეს კი გასული მთლიანი წლის მაჩვენებელს აღემატება. კერძოდ, გასულ 2021 წელს, ჯამში, 743 განაცხადი იყო რეგისტრირებული.

რაც შეეხება ქვეყნებს, მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში საქართველოში თავშესაფრის მაძიებლად ყველაზე მეტი — 368 მოქალაქე უკრაინიდან დარეგისტრირდა.

ტოპ-4 ქვეყნის ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეებმაც 2022 წლის 1-ელ ნახევარში საქართველოში თავშესაფარი ითხოვეს, ასე გამოიყურება:

უკრაინა — 368 მოქალაქე; რუსეთი — 54 მოქალაქე; თურქეთი — 96 მოქალაქე; ირანი — 79 მოქალაქე.

# ჩვილებით ვაჭრობის სკანდალური საქმე — გინეკოლოგი თამუნა მუსერიძეს ემუქრება



ჟურნალისტი თამუნა მუსერიძე ჟურნალ „სარკესთან“ ჩვილებით ვაჭრობის საქმის შესახებ საუბრობს. შეგახსენებთ, რომ მისი ორგანიზაციის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შსს-მ გამოძიება დაიწყო.

**თამუნა მუსერიძე:**

– გინეკოლოგები და მათი უახლოესი გარემოცვა ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ ყველანი ვიტყუებოდით. ახლა მიჩუმდნენ და აღარ გამოდიან კომუნიკაციაზე, აღარ გველაპარაკებიან. გამოძიებას რამდენიმე ქეისი წარვუდგინე, მაგრამ ხუთი საქმით დაინტერესდნენ. სამწუხაროდ, ყველა დეტალს ვერ მოვყვები, რადგან ხელი მომაწერინეს გაუთქმელობაზე.

გამოძიება დაიწყო მას მერე, რაც დადასტურებულად აღმოგვაჩნდა ფაქტები...

– ამხელა სქემაში, როგორც ჩანს, უამრავი ადამიანი იყო ჩართული. ალბათ, მუქარაც განხორციელებულა თქვენ მიმართ.

– ჩემი ჯგუფის წევრების მიმართ უფრო იყო. ერთ-ერთი რეგიონიდან გინეკოლოგმაც კი შემომითვალა, თამუნა არ ჩამოვიდეს, თორემ ვესვრიო. არ მეშინია, მაინც ჩავალ. ახლა გამოძიებისგან ველოდები პასუხს კითხვაზე, სად წაიყვანეს ამდენი ბავშვი. ოფიციალური პასუხი გვინდა ამ სტრუქტურისგან. არც მე და არც დედებს, ვისი შვილებიც ვიპოვეთ, არანაირი ინტერესი არ გვაქვს, რომ ვინმე დაიჭირონ. არც ერთს არ შეუტანია სარჩელი.

# ყოფილი მოსამართლეები: „მურუსიძემ გულწრფელად მიპასუხა, რატომ გამიშვეს სასამართლოდან“

## ყოფილი მოსამართლეები კლანს ემიგრაციიდან ამხელენ



პოლიცია, ჯარი და ახლა უკვე სასამართლო. „ქართული ოცნების“ დანაშაულებრივი სისტემის შესახებ „ტვ პირველთან“ ამჯერად ყოფილი მოსამართლეები საუბრობენ, რომლებმაც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ხელი არ მოაწერეს და კლანმა ისინი დასაჯა.

სასამართლო კლანის სისტემას ემიგრაციიდან ამხელს მოსამართლე, რომელიც მურუსიძე-ჩინჩალაძის დაჯგუფების პოლიტიკურ ერთგულებას არ დათანხმდა. ანა ღელეყვას მურუსიძემ პირდაპირ უთხრა, რომ მხოლოდ ამის გამო სჯიდნენ.

ანა ღელეყვა „პირველებთან“ ინტერვიუში პირველად ყვება, რა ტერორის ქვეშ არიან მოქმედი მოსამართლეები, თუ მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანს არ დაემორჩილებიან.

კლანის პოლიტიკური ინტერესების წინააღმდეგ წასვლა არ აპატიეს ბესო ალავიძესაც, რომელიც წარსულში არაერთი გახმაურებული საქმის მსაჯული იყო. მათ შორის „რუსთავი 2“-ის საქმეცაა.

„ქართულ ოცნებას“ და მის სასამართლო კლანს მოსამართლეების მორჩილების ნიშნით დანიშვნაში ამხელს ნათია ქუთათელაძეც, რომელიც იძულებული გახდა, ამერიკაში წასულიყო და ქართველ ემიგრანტთა ჯარს შეერთებოდა.

# თბილისის აეროპორტში 1.863.921.86 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ძვირფასი ქვების გატანის ფაქტი აღიკვეთა




ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, საბაჟო-გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი“ განსაკუთრებით დიდი ოდენობით არადეკლარირებული ძვირფასი ქვების უკანონო გატანის ფაქტი აღკვეთეს.

შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელის მოქალაქის რ.კ.-ს მიერ, საავიაციო უსაფრთხოების კონტროლის გავლის დროს, მისი კუთვნილი ხელბარგის შემოწმების შედეგად, სამგზავრო ჩანთაში 1 863 921.86 ლარის ღირებულების სხვადასხვა ზომის ბრილიანტის ქვები იქნა აღმოჩენილი.

უწყების ცნობით, საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

# იანვარ-ივლისში საქართველოში გაუპატიურების 96 ფაქტი დაფიქსირდა



მიმდინარე წლის შვიდ თვეში საქართველოში გაუპატიურების 96 ფაქტი აღირიცხა, საიდანაც სამართალდამცველებმა 61 გახსნეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, იანვარ-ივლისში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული სულ 269 ფაქტი დარეგისტრირდა.

აღნიშნული შემთხვევები გაუპატიურების გარდა მოიცავს ისეთი ტიპის დანაშაულებს, როგორებიცაა სექსუალური ხასიათის სხვადასხვაგვარი ქმედება.

იანვარ-ივლისში საქართველოში სულ 33.058 რეგისტრირებული დანაშაული აღირიცხა, საიდანაც 1867 ფაქტი (56.49%) სამართალდამცავმა ორგანოებმა გახსნეს.

# საშინელი ავარია კახეთში — შვილიშვილი უგონოდაა, პაპა ადგილზე დაიღუპა

კახეთში, სოფელ მანავთან მომხდარი ავარიის დროს დაშავებული გოგო ამ დრომდე უგონო მდგომარეობაში იმყოფება, მისი პაპა კი ადგილზე გარდაიცვალა.

ოჯახის წევრები თბილისში ბრუნდებოდნენ, რა დროსაც მსუბუქ ავტომობილს ტრაილერი დაეჯახა.

ავტომობილში იმყოფებოდა მცირეწლოვანი ბავშვიც.

# ნეკა დოროყაშვილი: „ნიკოლოზი ფიზიკური ძალადობის შემდეგ ფსიქიკურ ძალადობაზეც გადადიოდა“





– ძალადობების შემდეგ ნიკოლოზი შედიოდა საპირფარეშოში და რთავდა მაღალ ხმაზე მუსიკას, განსაკუთრებით მაშინ, თუ შემამჩნევდა, რომ ვტიროდი და ვიყავი ძალიან ცუდად. მაჩვენებდა, რომ მას კი არ ვეცოდებოდი, არამედ ფიზიკური ძალადობის შემდეგ გადადიოდა ფსიქიკურ ძალადობაზეც, – ამის შესახებ ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილის ყოფილმა მეუღლემ ნეკა დოროყაშვილმა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას განაცხადა, სადაც ის მოწმის სახით იკითხება.

ნეკა დოროყაშვილის თქმით, ბასილაშვილი ასე იმიტომ იქცეოდა, რომ სურდა, მას თავი მოეკლა.

– ბოლო პერიოდში მქონდა განცდა, ამას ხომ არ აკეთებდა იმიტომ, რომ ჩემით მომეკლა თავი. სურდა, ცუდ მდგომარეობაში მომესმინა ეს მუსიკა და შევშლილიყავი. ამ დროს ყოველთვის მახსენდებოდა ჩემი შვილი. მეძახდნენ, გიჟი ხარო, უფრო თავისუფლად იტყოდნენ, გიჟი იყო და თავი მოიკლაო, – აღნიშნა ნეკა დოროყაშვილმა.

# სოსო გოგაშვილის დაყადაღებული ქონება 15 მილიონ ლარს აღემატება




ტელეკომპანია „იმედის“ ინფორმაციით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის სოსო გოგაშვილის დაყადაღებული ქონება 15 მილიონ ლარს აღემატება.

ამ ქონების ჩამონათვალშია ძვირად ღირებული სახლები, მიწის ნაკვეთები, სასტუმროები, ავტომანქანები და სხვადასხვა ქონება. მათ შორის დაყადაღებულია რამდენიმე საცხოვრებელი სახლი თბილისში, სასტუმრო „ხირსა“ ქალაქ სიღნაღში, მიწის ნაკვეთები თბილისში, ბაკურიანში, მცხეთასა და ბორჯომში.

ცნობილი ხდება, ისიც რომ გოგაშვილის საკუთრებაში იყო 15-ზე მეტი ძვირადღირებული ავტომანქანა.

18 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე არსენ კალატოზიშვილმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილ მოადგილეს, სოსო გოგაშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

# საქართველოში, შესაძლოა, 2013 წლამდე გამოშვებული მანქანების შემოყვანა აიკრძალოს



საქართველოში, სავარაუდოდ, ძველი ავტომობილების იმპორტი აიკრძალება – შეზღუდვები ქვეყანაში 2013 წლამდე გამოშვებული მანქანების შემოყვანას შეეხება.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ცვლილებაზე უკვე მუშაობს და ინიციატივით პარლამენტს უახლოეს პერიოდში მიმართავს. მისი დამტკიცების შემთხვევაში, ევრო 5-ზე დაბალი სტანდარტების მანქანების შემოყვანა საქართველოში აიკრძალება.

„ავტოიმპორტიორთა ასოციაციაში“ პროგნოზირებენ, რომ ამ ცვლილების შედეგად ავტოინდუსტრიის სფეროში დასაქმებულები უკიდურესად დაზარალდებიან.

– ექსპორტში მეორე ადგილზე ვიყავით, გადავინაცვლეთ მესამეზე. თუმცა, პირველ ხუთეულში ვართ ავტოიმპორტის თვალსაზრისით. ჩვენთან მანქანების უმეტესობა არის 2013 წლის ქვემოთ, განსაკუთრებით – ტაქსები.

მესმის, რომ ეს ეკოლოგიაა, მაგრამ სხვა დანარჩენი ჩვენი მოქალაქეების ჯიბეს ურტყამს.

მოვითხოვთ სოფლის მეურნეობისგან პასუხს, ვის ეკონტაქტნენ, რა კვლევის საფუძველზე მიიღეს მსგავსი გადაწყვეტილება? – ამბობს ალექსანდრე ნონიაძე, ავტოიმპორტიორთა ასოციაციის თავმჯდომარე.

# თბილისში ჯიბის ქურდობა გახშირდა



ფრთხილად პირად ნივთებთან – თბილისში ჯიბის ქურდები დაბრუნდნენ. მძარცველების სამიზნე ის ადამიანები არიან, რომლებიც ღამით დედაქალაქში გასართობად დადიან.

მოპარულია მობილური ტელეფონები, ჩანთები და, ზოგიერთ შემთხვევაში, პირადობის მოწმობებიც კი. ახალგაზრდები უახლესი მოდელის ტელეფონის განვადების ფულს ახლაც იხდიან, მაგრამ ის, უბრალოდ, აღარ აქვთ, რადგან ღამის მძარცველებმა მიითვისეს.

შსს ახლა ცდილობს, გავიდეს დამნაშავეების კვალზე, რომლებმაც, დაზარალებულების ინფორმაციით, ღამის საათებში ისინი გაძარცვეს. ერთ-ერთი ასეთი ბოლო შემთხვევა „მზესუმზირის ფესტივალზე“, მუსიკალურ ღონისძიებაზე დაფიქსირდა, სადაც ასიათასობით ადამიანმა მოიყარა თავი.

ათობით დაზარალებული აცხადებს, რომ მუსიკალური ფესტივალის მსვლელობის დროს მათ მოჰპარეს მობილური ტელეფონები, საფულეები, ძვირფასეულობა.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით ტაბახმელის პოლიციის განყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. დაწყებულია გამოძიება.

პოლიციას ამ ეტაპზე დაკავებული არავინ ჰყავს.

# ნიკოლ ფაშინიანი: „საზღვარზე ესკალაციას 105 სომეხი სამხედრო ემსხვერპლა“



საზღვარზე ესკალაციის დროს სომხეთის მხრიდან 105 ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა პარლამენტში სამთავრობო საათზე განაცხადა.

— ქედს ვიხრი ჩვენი მოწამეების წინაშე... აზერბაიჯანმა მოახდინა აგრესია სომხეთის სუვერენული ტერიტორიის წინააღმდეგ. ეს ნიშნავს, რომ მან დაამყარა კონტროლი ზოგიერთ ტერიტორიაზე, — განაცხადა მან.

ამავდროულად, აზერბაიჯანის საგარეო უწყება ავრცელებს განცხადებას, რომ სომხეთის სამხედრო პროვოკაცია აზერბაიჯანის წინააღმდეგ გრძელდება ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიუხედავად.

— სომხეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო პროვოკაცია, რომელიც დაიწყო აზერბაიჯანის წინააღმდეგ 2022 წლის 12 სექტემბერს, გრძელდება საერთაშორისო თანამეგობრობის მოწოდებისა და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიუხედავად, — ნათქვამია განცხადებაში.

სამინისტროს განცხადებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო საპასუხო ზომებს იღებს ლეგიტიმური სამხედრო მიზნების წინააღმდეგ.

— საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ჰუმანიზმის პრინციპების დაცვით, აზერბაიჯანულმა მხარემ გამოაცხადა მზადყოფნა, ცალმხრივად გადასცეს სომხეთს სომეხი სამხედროების ცხედრები, რომლებმაც ჩაიდინეს დივერსიული აქტები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, რის შესახებაც წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ეცნობა, — აცხადებენ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

მათივე განცხადებით, ის ფაქტი, რომ სომხეთი არ წყვეტს თავის პროვოკაციულ ქმედებებს და არტილერიიდან ესვრის აზერბაიჯანულ პოზიციებს, მიუთითებს მის ინტერესზე რეგიონში სიტუაციის ესკალაციისადმი.

— მოვუწოდებთ სომხეთს, თავი შეიკავოს დესტრუქციული ქმედებებისგან და დაიცვან ჰუმანიტარული ცეცხლის შეწყვეტა. მშვიდობა რეგიონში შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ საერთაშორისო სამართლის მკაცრი დაცვის საფუძველზე, — ხაზგასმით აღნიშნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

# აზერბაიჯანი აცხადებს, რომ მზადაა, სომხეთს 100-მდე სამხედროს ცხედარი გადასცეს

აზერბაიჯანის რესპუბლიკა გამოხატავს ერთგულებას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ჰუმანიზმის ღირებულებებისადმი, სომხეთს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ მზადაა 100-მდე სომეხი ჯარისკაცის ცხედრის გადასაცემად — აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ სამხედრო ტყვეების, მძევლებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სახელმწიფო კომისიაში განაცხადეს.

მათივე განცხადებით, აღნიშნული სამხედრო მოსამსახურეები მაშინ დაიღუპნენ, როდესაც აზერბაიჯანმა 12-13 სექტემბერს „ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ პროვოკაცია აღკვეთა“.

— ამასთან დაკავშირებით ინფორმირებულია წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო კომიტეტიც, — აცხადებენ უწყებაში.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე შეტაკებები მოხდა. სომხეთის ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ მათი მხრიდან დაღუპულია 49 ადამიანი. აზერბაიჯანი კი აცხადებს, რომ შეტაკებებს მათი 50 სამხედრო ემსხვერპლა.

# ვოლოდიმირ ზელენსკი: „ადრე, როცა მაღლა ავიხედავდით, ყოველთვის ვეძებდით ცისფერ ცას. დღეს ვეძებთ ჩვენს სახელმწიფო დროშას“



— მინდა, მადლობა გადაგიხადოთ ჩვენი ხალხის, ჩვენი გულების, შვილებისა და მომავლის გადარჩენისთვის, — ამ სიტყვებით უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინელ სამხედროებს დეოკუპირებული იზიუმიდან მიმართა, სადაც მან უკრაინის დროშის აღმართვის ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო.

— ბოლო თვეები ძალიან რთული იყო თქვენთვის, ამიტომ გთხოვთ, გაუფრთხილდით საკუთარ თავს, თქვენ ხართ ყველაზე ძვირფასი, რაც გვაქვს, — აღნიშნა ზელენსკიმ.

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვერცერთი ოკუპანტი ვერ შეძლებს უკრაინელების გულების დაპყრობას.

— ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიების დროებითი ოკუპაცია ალბათ შესაძლებელია, მაგრამ ჩვენი ხალხის, უკრაინელი ხალხის ოკუპაცია ნამდვილად შეუძლებელია, — აღნიშნა ზელენსკიმ.

მისი თქმით, დღეს, როდესაც დამცველები უკრაინის მიწებს ოკუპანტებისგან ათავისუფლებენ, უკრაინის დროშა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

— ადრე, როცა მაღლა ავიხედავდით, ყოველთვის ვეძებდით ცისფერ ცას, მზეს, დღეს კი, ზემოთ ახედვისას, ჩვენ და განსაკუთრებით დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხი მხოლოდ ერთს ვეძებთ — ჩვენს სახელმწიფო დროშას. ეს ნიშნავს. რომ გმირები აქ არიან, ეს ნიშნავს, რომ მტერი წავიდა, გაიქცა, — განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

# ბუჩაში რუსების მიერ მოკლული მშვიდობიანი მოქალაქის 422 ცხედარი იპოვეს



ბუჩაში, რუსებისგან ქალაქის გათავისუფლების შემდეგ, 422 დაღუპული მშვიდობიანი მოქალაქის ცხედარი იპოვეს. ამის შესახებ კიევის ოლქის პოლიციის პრესსამსახური იტყობინება.

— ბუჩაში, დეოკუპაციის შემდეგ, ოკუპანტების მიერ მოკლული 422 ცხედარი იპოვეს. მასობრივი სიკვდილით დასჯის ადგილები კიევის ოლქის პოლიციელებმა სარდაფებში, ქუჩებში, ავტოფარეხებში აღმოაჩინეს, — აცხადებენ პრესსამსახურში.

ამასთან, პოლიციის უფროსმა ანდრეი ნებიტოვმა ერთ-ერთ ავტოფარეხში ჩხრეკის შესახებ საუბრისას აღნიშნა, რომ როდესაც რუსული არმიის ჯარისკაცები ავტოფარეხის კოოპერატივის ტერიტორიაზე შევიდნენ, სადაც ხალხი დაბომბვის დროს აფარებდა თავს, მათ მოითხოვეს, რომ ავტოფარეხები ყველას დაეტოვებინა. ერთ-ერთ ავტოფარეხში მყოფმა ადამიანებმა უარი თქვეს გასვლაზე, ამის შემდეგ, თვითმხილველების თქმით, ეს ადამიანები დახვრიტეს და დაწვეს.

— ძვლები იყო დამწვარი, როგორც ჩანს, გარდაცვლილებს ჯერ ბენზინი მიასხეს, შემდეგ კი ცეცხლი წაუკიდეს. ავტოფარეხის მახლობლად ავტომატებიდან ამოღებული ვაზნები გვეუბნება, რომ ადამიანები, სავარაუდოდ, ჯერ დახვრიტეს. ეს მოწმეების ჩვენებებსაც ემთხვევა, — განაცხადა ნებიტოვმა.

# ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის საზღვარზე სროლა იყო



ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის საზღვარზე სროლა იყო. რუსული მედიასაშუალებების ინფორმაციით, დაპირისპირება ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის სასაზღვრო პოლიციის ჯგუფებს შორის მოხდა.

ყირგიზეთის სასაზღვრო სამსახურის განცხადებით, ტაჯიკმა სამხედროებმა ცეცხლი მას შემდეგ გახსნეს, რაც ყირგიზმა მესაზღვრეებმა მათ ქვეყნებს შორის სადავო ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს.

ცნობისთვის, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს შორის ტერიტორიების გამო კონფლიქტი გასულ წელს განახლდა, რასაც, სულ მცირე, 55 ადამიანი ემსხვერპლა.

სპორტი

# ლივერპული და ბაიერნი იგებენ, ბრიუგე არ ხუმრობს



**ა ჯგუფი**

**ლივერპული-აიაქსი 2:1**

**1:0 სალაჰი (17), 1:1 კუდუსი (27), 2:1 მატიპი (89)**

ლივერპულმა ნიდერლანდური გუნდი მძიმე ბრძოლაში დაამარცხა. მოჰამედ სალაჰის გოლს პირველივე ტაიმში კუდუსიმ უპასუხა. აიაქსი ახლოს იყო, ლივერპულიდან ქულა წაეღო, მაგრამ 89-ე წუთზე ჟოელ მატიპმა იურგენ კლოპის გუნდს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა.

**რეინჯერსი-ნაპოლი გადაიდო**

ლივერპულს, ნაპოლისა და აიაქსს 3-3 ქულა აქვთ, რეინჯერსს — 0.

**ბ ჯგუფი**

**ლევერკუზენი-ატლეტიკო 2:0**

**1:0 ანდრიხი (84), 2:0 დიაბი (87)**

საინტერესო მატჩი შედგა გერმანიაში, სადაც ლევერკუზენმა ანდრიხისა და დიაბის გვიანი გოლებით დაამარცხა ატლეტიკო. ჯგუფში საკმაოდ დაძაბული სიტუაციაა და ყველა ქულას უკვე დიდი მნიშვნელობა ექნება.

ლევერკუზენმა ამ მოგებით საქმე გამოიკეთა, რადგან პირველი მატჩი წაგებული ჰქონდა. თავის მხრივ, მადრიდელებს საქმე შედარებით გაურთულდათ.

**პორტუ-ბრიუგე 0:4**

**0:1 ჟუტგლა (15პ), 0:2 სოვა (47), 0:3 ოლსენი (52), 0:4 ნუსა (89)**

ბრიუგე, რომელმაც პირველ ტურში ლევერკუზენს მოუგო, ამჯერად პორტუგალიაში ჩავიდა და პორტუ 4:0 გაანადგურა.

ბრიუგეს კლუბმა ჯგუფიდან გასვლაზე ხმაურიანი განაცხადი გააკეთა და 6 ქულით ლიდერია. პორტუ უქულოდ არის, ხოლო ლევერკუზენი და ატლეტიკო 3-3 ქულით არიან.

ჰო, ანტონიო ნუსა 17 წლისა და 189 დღის ასაკში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, რომელმაც სადებიუტო მატჩში გოლი გაიტანა.

**ც ჯგუფი**

**ბაიერნი-ბარსელონა 2:0**

**1:0 ერნანდესი (51), 2:0 სანე (54)**

სეზონის წინ თითქოს ბარსა გაძლიერდა და ბაიერნი დასუსტდა, მაგრამ თამაშს ეს არ დასტყობია. იულიან ნაგელსმანის გუნდმა საკმაოდ მშვიდად მოიგო.

თუმცა, ბარსელონას ურიგოდ არ უთამაშია. პირველ ტაიმში მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ ესპანელებმა თავიანთი შანსები სათანადოდ ვერ გამოიყენეს.

მიუნხენელებმა კი 3-წუთიან მონაკვეთში მოილიეს გასაკეთებელი: 51-ე წუთზე ლუკას ერნანდესმა გაიტანა, ხოლო 3 წუთის შემდეგ ლეროი სანემ სხვაობა გააორმაგა.

ბარსამ ვერაფერი შეცვალა, ვერც რობერტ ლევანდოვსკიმ, რომელმაც ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ცდა არ დააკლო, მაგრამ მიუნხენში გოლი ვერ გაიტანა.

**პლზენი-ინტერი 0:2**

**0:1 ჯეკო (20), 0:2 დუმფრისი (70)**

**გაძევება:** ბუხა (პლზენი)

ინტერმაც მშვიდად მოიგო. პლზენი ჯგუფის აუტსაიდერია და ეს გასაკვირიც არ ყოფილა. პირველ ტაიმში ედინ ჯეკომ შეაგდო, საათის თავზე კი პლზენის სიტუაცია დამძიმდა — მოედნიდან ბუხა გაუძევეს. მილანელებმა მეტობითაც ისარგებლეს და დუმფრისმა საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

ჯგუფს 6 ქულით ბაიერნი ლიდერობს, ინტერსა და ბარსელონას 3-3 ქულა აქვთ, ხოლო პლზენს ქულა არ მოუპოვებია.

**დ ჯგუფი**

**სპორტინგი-ტოტენჰემი 2:0**

**1:0 პაულინიო (90), 2:0 არტურ გომეში (90)**

სპორტინგი არ ხუმრობს. პორტუგალიელებმა ჯერ სტუმრად აინტრახტი გაანადგურეს, ახლა კი ტოტენჰემს ბოლოში აჯობეს.

პაულინიომ 90-ე წუთზე გაიტანა, ხოლო მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში არტურ გომეშმა ტოტენჰემს ყველა იმედი გადაუწურა.

**მარსელი-აინტრახტი 0:1**

**0:1 ლინდსტრიომი (43)**

მარსელი უქულოდ არის, ხოლო აინტრახტმა პირველად იმარჯვა. გოლი პირველი ტაიმის მიწურულს ლინდრსტრიომმა შეაგდო, რის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა.

სპორტინგი 6 ქულით ჯგუფის ლიდერია, 3-3 ქულა ტოტენჰემსა და აინტრახტს აქვთ, უქულო მარსელი კი ბოლო ადგილზეა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**13 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ლივერპული-აიაქსი | 2:1 |
| ლევერკუზენი-ატლეტიკო | 2:0 |
| პორტუ-ბრიუგე | 0:4 |
| პლზენი-ინტერი | 0:2 |
| ბაიერნი-ბარსელონა | 2:0 |
| სპორტინგი-ტოტენჰემი | 2:0 |
| მარსელი-აინტრახტი | 0:1 |

# დედამ შვილზე თავდამსხმელი პუმა შეაშინა და გააქცია

ამერიკის კალიფორნიის შტატის მკვიდრმა ნიდა ბარბერ-რეიმონდმა დააფრთხო და გააგდო პუმა, რომელმაც მის სახლში შეაღწია და მისი ოთხი წლის შვილი კუთხეში ჰყავდა მიმწყვდეული.

ქალის თქმით, მას ტერასაზე ბავშვის ტირილი შემოესმა და იმის გასაგებად გაემართა, რომ ენახა, მისი შვილი რამ შეაშინა. ის გაოგნდა, როდესაც ბავშვის ახლოს დიდი ძაღლის ზომის პუმა დაინახა.

— პუმა მისგან დაახლოებით ერთ მეტრში იმყოფებოდა. ის გამხდარი და მშიერი იყო და ჩემს შვილს, როგორც თავის ნადავლს, ისე უყურებდა, — ამტკიცებს ბარბერ-რეიმონდი.

ქალმა ყვირილი ატეხა და მტაცებლის შეშინებას შეეცადა, ასევე, ისეთი პოზა მიიღო, თითქოს მასზე თავდასხმას აპირებდა. ამის პასუხად, პუმა სწრაფად შეტრიალდა და გაიქცა.

ქალის მტკიცებით, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მის ნაკვეთში პუმა გამოჩნდა. რამდენიმე წლის წინ მტაცებელი მეზობელმა იმ დროს შენიშნა, როდესაც მთელი ოჯახი ქალაქგარეთ იმყოფებოდა. მომხდარის თაობაზე ქალმა გარეული ცხოველების კონტროლის სამსახურს აცნობა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# რომის პაპი: „ღმერთი მშვიდობაა. ის ყოველთვის გვიხელმძღვანელებს მშვიდობის გზაზე და არასდროს — ომის გზაზე“



რომის პაპი ფრანცისკე ოფიციალური ვიზიტით ყაზახეთში იმყოფება. პაპმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ღმერთი ომს მხარს არ უჭერს, რითაც რუსეთის ფედერაციის პატრიარქი კირილი გააკრიტიკა, რომელიც უკრაინაში შეჭრასა და ომს მხარს აქტიურად უჭერს.

მსოფლიო და ტრადიციული რელიგიების ლიდერების მე-7 კონგრესზე სიტყვით გამოსვლისას პაპმა ფრანცისკემ განაცხადა, რომ ღმერთს მშვიდობა სურს და ომის დაგმობისკენ მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებსაც მოუწოდა, რომლებიც ასევე ესწრებოდნენ კონგრესს.

— ღმერთი მშვიდობაა. ის ყოველთვის გვიხელმძღვანელებს მშვიდობის გზაზე და არასდროს — ომის გზაზე. მოდი, კიდევ უფრო მეტი დაჟინებით მოვითხოვოთ კონფლიქტების გადაწყვეტის აუცილებლობა არა უსასრულო ძალაუფლების საშუალებებით, იარაღითა და მუქარით, არამედ შეხვედრებით, დიალოგითა და მოთმინებით, — განაცხადა მან.

ცნობისთვის, ყაზახეთში გამართულ კონგრესს არ ესწრება რუსეთის პატრიარქი კირილი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# საქართველოსა და ჩრდილოეთ მაკედონიის მწვრთნელებმა შემადგენლობები დაასახელეს

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები უეფას ერთა ლიგის დასკვნითი მატჩისთვის მზადებას იწყებს. ვილი სანიოლის გუნდი 23 სექტემბერს თბილისში ჩრდილოეთ მაკედონიას დაუხვდება, ხოლო გიბრალტარისა და საქართველოს მატჩი 26 სექტემბერს გაიმართება.

ერთა ლიგის უახლოესი თამაშებისთვის ფრანგმა სპეციალისტმა შემადგენლობა დაასახელა. 23 ფეხბურთელს შორის თითქმის ყველა ნაცნობია სახეა, მაგრამ არის ერთი დებიუტანტი – წყალტუბოს სამგურალის მეკარე ლევან შოვნაძე.

**სანიოლის რჩეულთა სია ასეთია:**

**მეკარე:** გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლევან შოვნაძე (სამგურალი);

**დაცვა:** გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), დავით ხოჭოლავა (კოპენჰაგენი, დანია), სოლომონ კვერკველია (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), გურამ გიორბელიძე (ზაგლებიე, პოლონეთი), ირაკლი აზაროვი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), ჯემალ ტაბიძე (დინამო თბ);

**ნახევარდაცვა:** საბა ლობჟანიძე (ჰატაი, თურქეთი), გიორგი წიტაიშვილი, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ლეხი, პოლონეთი), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო, თბ), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), გიორგი ჩაკვეტაძე (სლოვანი, სლოვაკეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო, ბთ), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი);

**თავდასხმა:** ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), ვაკო ყაზაიშვილი (ულსან ჰიუნდაი, ს.კორეა), გიორგი მიქაუტაძე (მეცი, საფრანგეთი), ბუდუ ზივზივაძე (ფეჰერვარი, უნგრეთი).

ჩრდილოეთ მაკედონიასთან და გიბრალტართან მატჩებისთვის მოსამზადებელი საწვრთნელი შეკრება 19 სექტემბერს თბილისში დაიწყება.




შემადგენლობა დაასახელა მაკედონიელთა მთავარმა მწვრთნელმა ბლაგოია მილევსკიმაც. საქართველოს გარდა, მაკედონიელებს 26 სექტემბერს ბულგარეთთან აქვთ სათამაშო.

მილევსკიმ 27 ფეხბურთელი გამოიძახა. სამი ფეხბურთელის გარდა, ყველა ლეგიონერია. გამოძახებულთა შორის არის ინგლისის პრემიერშიპის ბარნლის შემტევი დარკო ჩურლინოვიც, მაგრამ ტრავმა აწუხებს და, რამდენად შეძლებს თბილისში თამაშს, უცნობია.

**ბლაგოია მილევსკი:**

– ბევრი პრობლემა გვაქვს, რასაც არ ვგეგმავდით. ნაკრებში ტრავმიანობაა, რაც არ მომწონს. ეროვნულ გუნდში 27 ფეხბურთელი გამოვიძახე. გარდა ამისა, ზოგიერთი ფეხბურთელი უკლუბოდ არის ან ცუდ ფორმაშია. მოკლედ, ვინც კი თამაშობს, ყველას დავუძახე.

მიუხედავად პრობლემებისა, ბევრჯერ დაგვიმტკიცებია, რომ ბოლომდე ვიბრძვით და, რაც ძლიერია მეტოქე, მოტივაცია იზრდება. სანამ შანსი რჩება, ბოლომდე ვიბრძოლებთ. ერთა ლიგის მატჩებს გუნდის ბირთვის ჩამოსაყალიბებლად გამოვიყენებთ სამომავლოდ.

**ჩრდილოეთ მაკედონიის შემადგენლობა საქართველოსთან მატჩისთვის:**

**მეკარეები:** სტოლე დიმიტრიევსკი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი), დამიან შიშკოვსკი (დოქსა, კვიპროსი), კრისტიან ნაუმოვსკი (შკუპი), იგორ ალეკსოვსკი (რაბოტნიჩკი);

**მცველები:** სტეფან რისტოვსკი (დინამო, ხორვატია), დარკო ველკოვსკი (ალ ეტიფაკი, საუდის არაბეთი), ვისარ მუსლიუ (ინგოლშტადტი, გერმანია), ეზგან ალიოსკი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ტოდორ ტოდოროვსკი (სუმგაითი, აზერბაიჯანი), სტეფან აშკოვსკი (ლამია, საბერძნეთი), ნიკოლა სერაფიმოვი (ფეჰერვარი, უნგრეთი), გოკო ზაიკოვი (ვორსკლა, უკრაინა), ბოიან დიმოვსკი (პანდევის აკადემია);

**ნახევარმცველები:** ელიფ ელმასი (ნაპოლი, იტალია), ენის ბარდი (ტრაბზონი, თურქეთი), არიან ადემი (დინამო, ხორვატია), ენის ფაზლაგიკი (დუნაისკა სტრედა, სლოვაკეთი), აგონ ელეზი (ვარაჟდინი, ხორვატია), იანი ატანასოვი (ჰაიდუკი, ხორვატია), სტეფან სპიროვსკი (პიუნიკი, სომხეთი);

**თავდამსხმელები:** მილან რისტოვსკი (ტრნავა, სლოვაკეთი), ბოიან მიოვსკი (აბერდინი, შოტლანდია), დარკო ჩურლინოვი (ბარნლი, ინგლისი), ალექსანდარ ტრაიკოვსკი (ალ ფეიხა, საუდის არაბეთი), ვალონ ეტემი (ისტანბული, თურქეთი), დორიან ბაბუნსკი (დებრეცენი, უნგრეთი), ლიუპჩე დორიევი (შკენდია).

ჯგუფის დასრულებამდე ორი ტურით ადრე საქართველო 10 ქულით ლიდერობს, ჩრდილოეთ მაკედონია 7 ქულით მეორეა. ბულგარეთსა და გიბრალტარს შანსი არ აქვთ.

საქართველოს ნაკრებს ბ ლიგის საგზურის მოსაპოვებლად ფრეც ჰყოფნის, რადგან ურთიერთშეხვედრებში აჯობეს – 9 ივნისს სკოპიეში ზუროსის კრებულმა 3:0 დაამარცხა მეტოქე.

პირველი ადგილით საქართველოს ნაკრები ევრო 2024-ის ფლეი ოფსაც გაინაღდებს.

# გუჯეჯიანი მსოფლიოზე ძველი გვარდიით მიდის




6-13 ოქტომბერს უზბეკეთის დედაქალაქი ტაშკენტი ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს.

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლაშა გუჯეჯიანის გადაწყვეტილებით, სპორტსმენი ყველა წონაში გვეყოლება. მათგან ორი – 90 და 100 გაორებული იქნება.

საქართველოს ნაკრები ტაშკენტში, ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობით იასპარეზებს. თუმცა, ერთმა წონამ გულშემატკივრებში კამათი უკვე გამოიწვია. საქმე ის არის, რომ გუჯეჯიანს 90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ბექაური და ევროპის ჩემპიონი ლუკა მაისურაძე მიჰყავს, ხოლო ბექა ღვინიაშვილი გუნდურში იჭიდავებს. ქომაგთა აზრით, ღვინიაშვილი პირად პირველობაში ჭიდაობასაც იმსახურებდა. თუმცა, სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**

ლუხუმ ჩხვიმიანი (60), ვაჟა მარგველაშვილი (66), ლაშა შავდათუაშვილი (73), ტატო გრიგალაშვილი (81), ლუკა მაისურაძე, ლაშა ბექაური (ორივე 90), ვარლამ ლიპარტელიანი, ილია სულამანიძე (ორივე 100), გურამ თუშიშვილი (+100).

ღვინიაშვილის გარდა, გუნდურში გიორგი ტერაშვილიც (73) იჭიდავებს.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ იქნება გუნდურში მესამე ქალი ძიუდოისტი. ცნობილია მხოლოდ ორი მათგანის ვინაობა – ეთერ ლიპარტელიანი (57) და სოფიო სომხიშვილი (+78).

# საკალათბურთო ევროპის ჩემპიონატზე პირველი ნახევარფინალური წყვილი ცნობილია



ევრობასკეტ 2022-ის პირველი ნახევარფინალისტი ესპანეთის ნაკრები გახდა. სერჯო სკარიოლოს გუნდმა ფინეთს 100:90 მოუგო.

ესპანეთის ნაკრებმა კლასის ხარჯზე იმარჯვა. ფინელები დიდი ხნის განმავლობაში უკეთ თამაშობდნენ და იყო მომენტი, როდესაც 15 ქულითაც კი დაწინაურდნენ, ხოლო ტაიმი 52:43 მოიგეს.

პირენეელებმა თამაში მესამე მეოთხედში შემოატრიალეს, რომელიც 30:15 მოიგეს და გადამწყვეტი ათწუთეულის წინ 73:67 დაწინაურდნენ. ბოლო პერიოდში ფინელები მეტოქეს რამდენჯერმე დაუახლოვდნენ ორ ქულამდე, მაგრამ ესპანეთი ისევ ამუშავდა და საქმე ისე მიიყვანა გამარჯვებამდე, პრობლემები აღარ შეჰქმნია.

გერმანია კი მცირე სენსაციის ავტორი გახდა. ქართველებისთვის კარგად ნაცნობი გორდი ჰერბერტის გუნდმა მშობლიური პუბლიკის წინაშე ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიჩნეული საბერძნეთი 107:96 დაამარცხა.

ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი ვარსკვლავი, იანის ადეტოკუნმპო, რომელმაც გერმანიასთანაც მაგრად ითამაშა, ევროპის ჩემპიონატზე უმედლოდ დარჩა.

თავიდანვე გერმანია დაწინაურდა. ბერძნები მუდმივად ცდილობდნენ, მეტოქე ძალიან არ გაჰქცეოდათ, ხოლო მეორე ნახევრიდან უკვე არათუ ანგარიშის შემცირება იწყეს, შესვენებაზე უკვე ოთხი ქულით იგებდნენ – 61:57.

მეორე ტაიმი გერმანელებმა ფანტასტიკურად დაიწყეს და 6-წუთიანი მონაკვეთი 20:1 მოიგეს. ფაქტობრივად, აქ გადაწყდა მატჩის ბედი.

დარჩენილ დროში უფროსი ადეტოკუმპო ბევრს ეცადა, თამაში გადაერჩინა, ლამის სამმაგი დუბლიც (31 ქულა, 7 მოხსნა, 8 პასი) მიითვალა, მაგრამ ნერვებმა უმტყუნა და საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე არასპორტული ჯარიმის გამო მოედნიდანაც გააძევეს.

აქ ბერძნებისთვის ყველაფერი დასრულდა.

ევრობასკეტ 2002-ზე პირველი ნახევარფინალური წყვილი ცნობილია – 16 სექტემბერს მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, ესპანეთი, მასპინძელ გერმანიას გაეჯიბრება.

კიდევ ორი ნახევარფინალისტი 14 სექტემბერს გაირკვევა: საფრანგეთი იტალიას ეთამაშება, ხოლო სლოვენია და პოლონეთი ურთიერთობას ერთმანეთში გაარკვევენ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 3. ატომური ენერგიის მისაღები დანადგარი; 4. მინის რეზერვუარი თევზების, წყალმცენარეების მოსათავსებლად; 5. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 6. ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 8. ექსპონატების მოსათავსებელი საგამოფენო დაფა; 11. ისტორიული სოფელი თეთრიწყაროს რაიონში; 14. თვალის ექიმი; 15. ქიმიური ელემენტი, აირი; 16. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 17. ხიდის საყრდენი ბურჯი; 19. ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიით კილაძის მუსიკაზე შექმნილი ქართული ბალეტი; 21. ინდოეთის ეროვნული გმირი; 22. დიდი ქრისტიანული დღესასწაული.

**თარაზულად:** 1. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 5. წყლის ნაპირებთან ბინადარი ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 7. ფრანგი კინორეჟისორი; 9. საქართველოს პრეზიდენტი; 10. ეგვიპტის ერთ-ერთი ფარაონი; 12. ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი; 13. უღელტეხილი კავკასიონზე; 16. ამერიკული მსუბუქი ავტომობილი; 17. ბრიტანული ლუდხანა; 18. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 20. დეტექტიური ჟანრის ფრანგი მწერალი; 22. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 23. ზღვისპირა კურორტი ლიეტუვაში; 24. ღვიძლის დაავადება; 25. ავსტრალიური ველური ძაღლი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰოსტელი; 2. ხაბელოვი; 3. ქაჯაია; 4. ვალსი; 5. ბადაგონი; 8. ვერდიქტი; 12. როჭო; 13. ალკოჰოლი; 14. ინდიგო; 16. დებიუტი; 18. ტაიჭი; 20. გუნო.

**თარაზულად:** 6. ფონოთეკა; 7. ავადჰარა; 8. ვენერა; 9. ხვრა; 10. ხოჭოლავა; 11. ჰიდრანტი; 15. გლინტვეინი; 17. თორაძე; 19. გრიგოლეთი; 21. გორგონი; 22. ქიმერიონი; 23. გოდერძი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. იმერეთი; 3. კლოუნადა; 4. აეროსტატი; 5. ბრიჯი; 6. ირბისი; 8. აგენტი; 11. კოლუმბი; 14. აბასთუმანი; 15. მიქატაძე; 16. სტრაბიზმი; 17. ვარძია; 19. ღრუბელი; 21. კარნო; 22. პლაცი.

**თარაზულად:** 1. დისკუსია; 5. ბონი; 7. სპაზმი; 9. რეკონვერსია; 10. ბუკლეტი; 12. ქსილიტი; 13. ატაკამა; 16. სიბარიტი; 17. ვაცი; 18. ალაზა; 20. მათუსალა; 22. პრადო; 23. აბატისა; 24. ზედაშე; 25. ნეონი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


15 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8299

ევრო — 2.8327

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2708

100 რუსული რუბლი — 4.7272

## ამინდის პროგნოზი 15 სექტემბრისთვის




## ხავი: „ნაგებას არ ვიმსახურებდით“

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ხავიმ ბაიერნთან მარცხზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს მომენტები უნდა გამოეყენებინა და ამ შემთხვევაში უკეთესი შედეგი დაფიქსირდებოდა, თუმცა ამაზე საუბარი უკვე გვიანია: „გაბრაზებული ვარ, რადგან უკეთეს შედეგს ვიმსახურებდით, მაგრამ ეს უკვე წარსულია და მომავალ შეხვედრებზე უნდა ვიფიქროთ. მომენტები უკეთესად უნდა გამოვიყენოთ“.

## ტომას მიულერი: „მეორე ტაიმში მეტოქეს ვაჯობეთ“



მიუნხენის ბაიერნის ერთ-ერთმა ლიდერმა ტომას მიულერმა ბარსელონასთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მათ მეორე ტაიმში მეტოქეს აჯობეს, თუმცა პირველ ტაიმში ბარსელონას მეტი მომენტი ჰქონდა: „მეორე ტაიმში ყველას ვანახეთ ჩვენი ძალა და ბაიერნს ყოველთვის შეუძლია, შედეგს მიაღწიოს. ბარსელონა ძლიერია და მათ პატივს ვცემთ, მაგრამ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა“.

## რონალდუ მანჩესტერიდან წასვლაზე ისევ ფიქრობს

კრიშტიანო რონალდუ მანჩესტერ იუნაიტედიდან წასვლას ისევ განიხილავს, რადგან გუნდში შექმნილი მდგომარეობა არ აკმაყოფილებს. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რონალდუ საუდის არაბეთში გადასვლას განიხილავს და, შესაძლოა, ეს ტრანსფერი უკვე ზამთარში განხორციელდეს. თვითონ კრიშტიანო ჯერჯერობით ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:
– ძვირფასო, ჩვენ თითქმის ალარსად დავდივართ, სულ სახლში ვართ!
– კარგი, ხვალ ნაგვის გადასაყრელად რომ გავალ, თან გაგიყოლებ.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– ჩემს მეზობელ თემურს ბოლო სტადიის ბრტყელტერფიანობა აქვს.
– ბოლო სტადიის ბრტყელტერფიანობა როგორია?
– საცურაო ლასტები ნანახი გაქვს?
– კი.
– ჰოდა, ეგ ბოლოსწინა სტადიაა.

•••

დედა ქალიშვილს ეუბნება:
– დაბადების დღეს გილოცავ, შვილო!
– მადლობა, დედიკო!
– და დღეს რის გაკეთებას აპირებ?
– და შენ რას აკეთებდი შენს მეოცე დაბადების დღეზე?
– შენ...

•••

მამაკაცი ქალს ეუბნება:
– ძვირფასო, მე შენს ცხოვრებას ზღაპრად ვაქცევ.
– ჰო, ზღაპრად დაკარგული დროზე...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნატო მეტონიძე გია ყანჩელის პრემიით დაჯილდოვდა



მომღერალი ნატო მეტონიძე კომპოზიტორ გია ყანჩელის პრემიით დაჯილდოვდა.

ჯილდო ხელოვანს კომპანია „ბადაგონმა“ გადასცა. კომპანია წლებია, კომპოზიტორ გია ყანჩელის სახელობის პრემიას ნიჭიერ ქართველ მუსიკოსებს გადასცემს.

წელს ღვინის ბარ-რესტორანში „სი ჩერტო“ გია ყანჩელის სახელობის 10.000-ლარიანი პრემიის მფლობელი გახდა ყველა დროის საუკეთესო მომღერალი ნატო მეტონიძე.

მომღერალს პრემია კომპანია „ბადაგონის“ დამფუძნებელმა გიორგი სალაყაიამ პირადად გადასცა.

## ლაშა გურგენიძე და თაკო მჭედლიშვილი დაქორწინდნენ



მსახიობი ლაშა გურგენიძე თავის რჩეულ თაკო მჭედლიშვილზე დაქორწინდა.

წყვილმა ულამაზესი ქორწილი უახლოესი ადამიანებისა და მეგობრების წრეში გადაიხადა. ლაშასა და თაკოს ბედნიერების ამსახველი ფოტოები და ვიდეოები ინტერნეტში გავრცელდა:

– როგორც იქნა, ჩვენი ქორწილი შედგა! ბევრი დაბრკოლების მიუხედავად, ეს დღე რეალობად იქცა, რაც მთავარია, უახლოეს და უძვირფასეს ადამიანებთან ერთად.

რომ არა თქვენი გვერდში დგომა და სიყვარული, მარტო ამ ყველაფერს ვერ შევძლებდი! ამისთვის მინდა, გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ! – განაცხადა ლაშა გურგენიძემ.

## ავთო ვარსიმაშვილი უნგრეთში „კავკასიურ ცარცის წრეს“ დგამს

თავისუფალი თეატრის დამაარსებელი ავთო ვარსიმაშვილი უნგრეთის ნაციონალურ თეატრში „კავკასიურ ცარცის წრეს“ დგამს.

ბერტოლტ ბრეხტის გახმაურებულ ნაწარმოებზე ქართველ რეჟისორსა და ადგილობრივ მსახიობებს აქტიური რეპეტიციები აქვთ.

ავთო ვარსიმაშვილისა და უნგრეთის ნაციონალური თეატრის დასის ერთობლივ ნამუშევარს მაყურებელი მალე იხილავს.

## დავით წერედიანის 85 წლის იუბილე ახალი გამოცემით აღინიშნა

ინფორმაცია მელანო კობახიძემ გაავრცელა:

– დავით წერედიანი – 85. გთავაზობთ წიგნიდან ერთ-ერთ მოგონებას, რომელიც რატი ამაღლობელს ეკუთვნის. დანარჩენი – წიგნში.

დავით წერედიანის „ათასწლოვანი, ბნელხმოვანი ელვარე ფრენა“:

ქართულში დედაჩემის მეგობართან, მანანა ქარქაშაძესთან ვემზადებოდი.

მანანას ბიბლიოთეკაში ფრანსუა ვიიონის „დიდი და მცირე ანდერძის“ წერედიანისეულ თარგმანს წავაწყდი. წიგნი, რასაკვირველია, ვითხოვე და იმ საღამოსვე წავიკითხე, თუმცა ერთი თვე არ ვაბრუნებდი. ადგილებს ვაგემოვნებდი, ხმამაღლა ვკითხულობდი, ვუკითხავდი მეგობრებს.

წიგნთან განშორება გამიჭირდა, მაგრამ სხვა რა გზა იყო. ადგილები დღემდე ზეპირად მახსოვს.

მალევე ნაწარმოების რუსულ თარგმანს გადავეყარე. შთაბეჭდილება თითქმის არ დამიტოვა. ველოდი ლექსის ფლობის იმგვარ ვირტუოზობას, რაც წერედიანის თარგმანს ასე გამოარჩევდა.

ამ მხრივ არაფერი განსაკუთრებული არ შემხვედრია „რუსულ ვიიონში“.

არადა, იმდროინდელ მკითხველ საზოგადოებაში მძლავრი სტერეოტიპი იყო ჩამოყალიბებული, რომ ევროპული ლიტერატურა თითქოს რუსულ ენაზე გაცილებით უკეთ „გამოიყურებოდა“, ვიდრე ქართულ თარგმანში.

ვფიქრობ, ხსენებული ცრურწმენის მსხვრევა თუ ვინმეს უკავშირდება, ეს, პირველ ყოვლისა, დავით წერედიანია.

როგორც ვამბობდი, ჯერ სკოლის მოწაფე ვიყავი და უმაღლესში ჩასაბარებლად ვემზადებოდი. ამ დროს ინტენსიურად ვწერდი ლექსებს.




დედაჩემმა მკითხა, თუ ვისი აზრი იქნებოდა ჩემთვის საინტერესო, ვის ვანდობდი საკუთარი ლექსების შეფასებას. ჩემი პასუხი იყო – წერედიანი! საუბარს ესწრებოდა ჩვენი ოჯახის ძალიან ახლობელი ადამიანი, ლელა დუმბაძე. ლელამ დაურეკა დათოს მეუღლეს – მანანას და სულ რამდენიმე დღეში ლელა და მე, ჩემი ლექსების რვეულებით ხელში, მანანასთან და დათოსთან სტუმრად მივედით. ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი არაჩვეულებრივი საღამო.

მე დავიწყე ლექსების კითხვა, დათო მისმენდა ყველანაირი შემფასებლური სიმაღლეებისა და ეჭვების გარეშე, ბავშვური გახსნილობით, ღიმილიანი მზერითა და კეთილგანწყობით, მესაუბრებოდა ჩემს ინტერესებზე, თუ რას ვკითხულობდი და რა მიტაცებდა, მიზიარებდა საკუთარ ბოლოდროინდელ შთაბეჭდილებებს წაკითხულ წიგნებზე, თარგმანებზე, თანამედროვე და კლასიკურ ლიტერატურაზე. მოკლედ, დღეს რომ ვწერ, ეს დათოს დამსახურებაა – იმ საღამოს მისი მხარდაჭერა ჩემთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა.

მერე იყო ლიტერატურული პრემია „საბა“ და მისი ჟიური, სადაც მასთან ერთად რამდენიმეჯერ მომიწია მუშაობა. მშვიდი, დინჯი, გაწონასწორებული, მაგრამ პრინციპული, ხშირად მტკიცე და მებრძოლი, მუდამ არგუმენტებით აღჭურვილი. სადაც დათმობა იყო სწორი და შესაძლებელი, არასოდეს ჯიბრში არ ჩადგებოდა, ხოლო პრინციპულ პოზიციებს ბოლომდე ჯიუტად დაიცავდა.

ასეთია მისი ლექსიც, ფორმით ლაღი, ახლებური, გახარებული ბავშვის თვალებივით ანთებული, აციმციმებული, შინაარსითა და დრამატიზმით კი ღრმა, ტკივილიანი, ბედისწერასავით ზუსტი და გარდაუვალი.

მისი პოეზია რაღაცით სვანურ ფრესკებს ჰგავს, სვანური ფრესკის წმინდანებს, საყოველთაო კანონიკურობისა და დოგმატიზმის მიერ შეუბოჭავ მათ სახე-ხატებებს, სადაც ყველაფერი ჯერ კიდევ უშუალოა, სადაც ლაზარე, წმინდა ივლიტა ყრმა კვირიკეთი რაღაცის მკვდარი ნიშან-სიმბოლო კი არა, ცოცხალი გამოცხადებაა. შესაბამისად, მასთანაც ფრესკებია, ოღონდ ხმოვანი, მოჩურჩულე, მოლაპარაკე და ამოძრავებული.

წერედიანის ლექსში ამბავი (სამყარო) განუწყვეტლივ ვითარდება. აქ ჰაერის, სინათლის სტიქია ქსოვს, ართავს, მეხსიერების წყალი კი უწყვეტი ნაკადით დის, მყარი მიწაც კი მოძრავია, მიმდინარეა. იგი წელიწადის დროებში სუნთქავს და თავად პოეტში იწყებს საუბარს: „ეს მოჟრიალე ძელგი მიწა რას ამბობს ჩემით...“ სწორედ ამ დიდი დროისა და დიდი სამყაროს მაცნეა წერედიანი. მისთვის პოეზიაც ამ უწყვეტ დენაში, ამ უწყვეტ ქსოვა-რთვაში ავტორის ცნობიერი ჩართვაა, რაც ადამიანურ სამყაროში გადმოდის, როგორც უწყვეტი წერა, უწყვეტი თხზვა (აქ უწყვეტობა არა რაოდენობრივს, არამედ თვისობრივს, ხარისხობრივს გულისხმობს).

პოეზია მეტად ზმნაა, მოქმედებაა, ვიდრე უკვე გაფორმებული და დასრულებული არსებითი სახელი. უკეთ აღსაქმელად გამოგვადგებოდა გერმანული „დიხტენ“ და, შესაბამისად, აქედან წარმოებული „დიხტუნგ“. ამ თვალსაზრისით უკეთესი გვარი ვერ ექნება ქართველ პოეტს, ვიდრე წერედიანია და ჭეშმარიტად მშვენიერია, როდესაც გვარი გამოხატავს არა მარტო წარსულსა და წინაპრებს, არამედ აწმყოს, მოწოდებას, საქმეს, პროფესიას, ანუ იგი ამავდროულად პიროვნულისა და ინდივიდუალურის აღმნიშვნელია.

ვფიქრობ, დავით წერედიანში გაისმა სამყაროს ხმა, აღიწერა სამყაროს სიტყვა, რომელიც დიდი პოეტების გარეშე უხმოა, ყრუა, გამოუთქმელი, მან კი გამოთქვა იგი წერით თუ წერაში“.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



15 სექტემბრისთვის

**ვერძი** – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქართული ტელეკომპანია; 2. რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი; 3. ფრანგული საიუველირო ფირმა; 4. კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც განთავსებულია აშშ-ის საზღვაო-საჰაერო სამხედრო ბაზა; 5. ფიცხი, ტემპერამენტიანი ადამიანი; 8. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში; 12. კარატისტის ოსტატობის მაჩვენებელი თანრიგი; 13. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 14. კათოლიკე მღვდელი პოლონეთში; 16. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი; 18. თაფლითა და ქიშმიშით შეზავებული მოხარშული ხორბალი; 20. ოფიციალური დოკუმენტი.

**თარაზულად:** 6. შნო, მოხერხება; 7. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 8. პოპულარული იაპონური ციფრულ-ლოგიკური თავსატეხი; 9. პოპულარული ბარ-რესტორანი ძველ თბილისში; 10. შვეიცარიელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 11. სასჯელი ქურდობისთვის ძველად საქართველოში; 15. საზაფხულო აგარაკების სახელწოდება ნიდერლანდებში; 17. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 19. მკვრივი ქანების სანგრევი რკინის წვეტიანი იარაღი; 21. „კუკარაჩას“ პერსონაჟი; 22. მდინარე გურიაში; 23. ხელოვნური წყალსაცავი მდინარე არაგვზე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

